პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 2 (55). პარასკევი, 12 იანვარი, 1945 წ. ფასი 1 მან.

„ჭკუა და საქმენი შენ ბოროტნულნი ბიბლიოთეკა უკვდავია რუსთა ხსოვნაში“

ნინო ჭავჭავაძის სიტყვები, წარწერილი გრიბოედოვის ქებულზე, მთაწმინდაზე.

ალექსანდრე გრიბოედოვი

მეყაღიონე

მოგზაური სპარსეთში შეხვდება მშვენიერ ყრმას, რომელიც მას ყალიონს მიართმევს. მოგზაური ეკითხება: ვინა ხარ, სადაურიო? ყრმა უყვება თავის თავგადასავალს, ეუბნება: ქართველი ვარ, ოდესღაც კახეთს მკვიდრიო.

კენარო, რომელ სამოთხეში ხარ ნეტავ რგული?
რა წყალი გისვამს? სიოს გბერდა რა გაზაფხული?
ეგებ ნაყოფი ხარ უნათლეს ეიზედისა,
ჯინმა გიმღერა, თუ ფერიამ ნანა დედისა?
როდესაც ჩუმად შემოიტან მზრუნველის ხელით
ჭურჭელს მინისას, გამსჭვირვალე წყლით ავსებულსა,
და ძის წიაღში გაგყავს ბოლის ბურუსი თხელი,
ჰგავს დაბინდული ბროლის დენი ქაფმოდებულსა
და ყრუ დუდუნით კაცს ჰპირდება თავდავიწყებას,
ვით ძწვანე ტყეში მოჩუხჩუხე ნაკადი გრილი!
ჩინარის ყლორტი იასამნის ტოტად იქცევა
და ხდება შაქრის ლერწამზე ტკბილი,
როცა იმითი, წითელი, ვით შირაზის ვარდი,
სვამს ბაგე წყვდიადს, რომ სიზმარში განქარდეს დარდი.
ჰაერი თითქოს დამძიმდება და გასქელდება,
სურნელი ამბრის, ალოესი როცა ვრცელდება.
ხოლო როდესაც მომხიბლავის გარეგნობითა
შენ ხალხის კრებულს გააბრწყინებ უცხო გრძნობითა —
ჰბადებ სიყვარულს!.. კრიალოსანს დერვიში ისვრის
და სიხარული გაუშუქებს ნაღვლიან თვალთა:
ეს შენ აღანთე მასში ცეცხლი დაშრეტილ ძალთა!
 აი, მოძრაობს შენი ტანი, სხეული ისრის, —
გადახალისდა სახე მისი ყვითელი, მჭკნარი,
და კვლავ სიცოცხლეს ეზიარა ყოფილი მკვდარი.
ახლა სახელი მბრძანებლისა მას არ შეჰფერის —
ატყვევებს მორცხვი გამოფენა ნაზი ელფერის,
თძები ბეჭდებად დახვეული, მხრებზე დასული,
მტკიცე ქსელით რომ შეუბოჭავს გული და სული,
მკერდის ფიქალით სხივთა თოვანი,
ძარღვები ნაზი, ფირუზოვანი,
უმანკო ბაგის მოძრაობა, ხმა შემპარავი,
დაბლა დახრილი თვალთახედვა, ნიშნად კრძალვისა,
შენი წარმტაცი, სამოსელით დაუფარავი,
შველისებური სიმსუბუქე, ტანი ალვისა.
კენარო, რომელ სამოთხეში ხარ ნეტავ რგული?
ედემის წყალი სვი და იქვე აჰყვავდი ვარდად?
ძითხარ, ფერიამ თუ გშობა და გატარა გულით,
ან ეგებ ჯინმა, მშვენიერო, კეთილად გზარდა?
„შორს, რიონის ნაპირებზე,
ამეხილა პირველ თვალი,
სადაც გულებს, კლდედ ქცეულებს,
მოსდებიათ ცეცხლის ალი.
ვიზრდებოდი უცხო მხარეს,
ძოწყვეტილი დედას ჩვილი,
მამისაგან გაყიდული,
ერთ ჭურჭელზე გადაცვლილი!
„შენ, უცხო კაცო, შმობლიური თუ იცი გრძნობა?
თუ შენ ძვირფასი მეგობრისგან შვილი გყოლია?
თუ შეიძლება ანგარებით შვილების თმობა?
ყორანს ბუდიდან თუ ბახალა გადუსროლია?
„ფარჩეულის ქარავანსა
თაოსნობდა ჩემი აღა.
მე იქ, თუმცა მუშა ვიყავ,
მივდიოდი მაინც ლაღად.
უცებ ვხედავ: მამის სახლი!
თვალს ვერა ვსწყვეტ, ვაკვირდები...
ღამდებოდა, და ცეცხლს ტყეში
მიუწექით დაღლილები.
„ავნთე ცეცხლო ამუქე!
ასე შენსავით ჩვენ გვინათის იმედი მხსნელი!
გარშემო დამსხდართ სიხარული, სითბო აჩუქე,
ვიდრე ნაპობი დაიწოდეს უკანასკნელი!
ჩამეძინა. უცებ ძილში
ხმა მომესმა: „ჰაუ, ბრძოლა!“
ხეობაში გაისმოდა
ჩახა-ჩუხი, თოფის სროლა.
მე ღრმა კვალში ჩავიმალე,
ვინც იქ იყო, ყველა წვება.
ეღერა გვესმა ხანჯლებისა —
სჩანს, მატულობს გახელება!
„მოსწყდა ჩურჩული. გათავდა ომი.
ცეცხლთან დააგდეს თავმოჭრილი გვამი და თავი.
მოკლულის სახეს დავაცქერდი მახლობლად მდგომი.
ვისი თავია?.. ღმერთო ჩემო!.. მამა ბედშავი!..
მაგრამ გვამს რომ მომაშორონ,
მე ღონივრად მკრავენ ხელსა.
თან მრისხანე ხმა გაისმა:
„წყევა-კრულვა შენს მშობელსა!“
ის ყაჩაღი იყო თურმე...
დამემუქრენ: თუ ვიგლოვე,
სამარცხვინო სიკვდილს ვპოვებ.
„დილით ჩვენი გზით გავსწიეთ ნელა,
მამა, რომელმაც საზარელი სიკვდილი ჰპოვა,
უნდა დაგლიჯოს აქ მხეცების მშიერმა ხროვამ,
აქ უნდა ეგდოს ყორნების და სვავთ საკორტნელად!
გავიარეთ ვიწროები,
გაიშალა ფართო ველი,
და სიტურფე ვნახეთ მიწის,
როცა ქართლში გამოველით.
დაკლაკნილი მტკვრის გარშემო
მხარეს ათბობს შუქი მზისა,
მოსჩანს ყველგან ყვავილები —
უხვი ჯილდო ზაფხულისა.

თარგმანი კონსტანტინე ჯიჯინაძისა.

იქ, სადაც დის ალაზანი

იქ, სადაც დის ალაზანი,
მსუბუქ ნიავს მოაქვს შვება,
ად ბაღებში მეწამული
ყურძნის ხარკი იკრიფება.
სადაც სხივი ბრწყინავს მზისა,
სწვავთ მეგობრის სიყვარული...
იცობ მხარეს, სადაც გუთნით
არ იხვნება მიწის გული,
მარად ნორჩი ელავს იგი
ყვავილებით მოფენილი
და დამნერგველს ახალისებს
უტკბილესი ოქროს ხილით?
მგზავრო, იცნობ სიყვარულსა,
არა მშვიდი ძილის დარსა,
ცხელი ცის ქვეშ ძარღვებში რომ
დააქანებს ცეცხლის ღვარსა?
მით ცხოვრობენ, მით სუნთქავენ
და იბრძვიან მისთვის მძაფრად,
იგი მუდამ სულში უზით,
ბაგეზედაც იგი აკრავთ.
ამნაირად სამხრეთიდან
მოაბერი ქარტეხილი
სწვავს ტრამალებს... რაა ბედი,
განშორება და სიკვდილი!..

თარგმანი კონსტანტინე ჯიჯინაძისა

დიდი შემოქმედი

იანვრის შუა რიცხვებში ჩვენი დიდი სამშობლო — საბჭოთა კავშირი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს დიდი რუსი ხალხის კულტურის ერთერთი შესანიშნავი შემოქმედის — მწერლისა და მოღვაწის, ალექსანდრე გრიბოედოვის დაბადების ასორმოცდაათი წლისთავს.

რუსული კლასიკური ლიტერატურის სიამაყე — გრიბოედოვი მთელი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით ანსახიერებს სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულ, მისი კეთილდღეობისათვის დამამშვრალ მოწინავე ინტელიგენციას. გრიბოედოვში, როგორც შემოქმედში და მოქალაქეში, ვპოულობთ რუსი ადამიანის საუკეთესო იდეურ-მორალურ თვისებებს. გრიბოედოვის შემოქმედება არის ნაყოფი რუსი ხალხის დიდი ისტორიული თავგადასავლისა, რუსი ხალხის ძიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი დიდი კულტურისა. ყველაფერი ის საუკეთესო, რაც რუსულმა მწერლობამ და რუსულმა პოეზიამ გასული საუკუნის ოციანი წლებისთვის დააგროვა, გრიბოედოვმა აითვისა თავის შემოქმედებაში, რომელიც მან ამავე დროს გაამდიდრა დასავლეთ ევროპული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნით.

ღრმა ინტელექტის და დიდი კეთილშობილი გრძნობის ადამიანი — გრიბოედოვი პუშკინთან ერთად არის დამწყები და ფუძემდებელი ახალი რუსული მწერლობისა. მის უკვდავ კომედიაში — „ვაი ჭკუისაგან“ — უკვე მოცემულია საწყისები იმ დიდი რეალისტური ლიტერატურისა, რომელიც მე-19 საუკუნეს უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ეს ნაწარმოები არის სათავე პუშკინის და გოგოლის, ტოლსტოისა და ტურგენევის ჰუმანიზმისა, ლერმონტოვის და ნეკრასოვის მგზნებარე მოქალაქეობრივი პათოსისა, გონჩაროვის იუმორისა და სალტიკოვ-შჩედრინის მწვავე მამხილებელი სატირისა.

ჯერ კიდევ ბელინსკი აღნიშნავდა, რომ „ვაი ჭკუისაგან“ არის ღრმად ჰუმანისტური ნაწარმოები, რომ ის არის ფეოდალური ჩამორჩენილობის, ბიუროკრატული უსულგულობის, მექრთამეობის, უმეცრების, ნებაყოფლობითი მონობის წინააღმდეგ მიმართული მძაფრი, ენერგიული პროტესტი. კომედიის მთავარი გმირი ჩაცკი არის რუსულ ლიტერატურაში პირველად ასახული ტიპი კეთილშობილი, ნაძდვილი პატრიოტი ინტელიგენტისა, რომლის იდეალია პიროვნების განთავისუფლება ყოველგვარი მუხრუჭებისაგან, სამსახური და მოღვაწეობა არა ცალკეული პირების საამებლად, არამედ ხალხისა და სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ. მარტოობა და ტრაგედია ჩაცკისა არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ ტიპიური და დამახასიათებელი იმ მოწინავე ახალგაზრდობისათვის, რომელსაც მემამულეთა და ბიუროკრატთა საზოგადოების სულისშემხუთველი ატმოსფერა ვერ აუტანია და რომელიც შეურაცყოფილ გრძნობას სენატის მოედანზე გამოუყვანია ბატონყმობის, მთელი იმდროინდელი სოციალური სისტემის და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც ყოველი დიდი მხატვრული ნაწარმოები, გრიბოედოვის კომედია გასცდა ნაციონალურ ფარგლებს. მისი კომედიის სახეებსა და იდეებს ეს უკვდავი საკაცობრიო მნიშვნელობა არ ექნებოდათ, რომ ავტორს მათთვის არ გამოეძებნა სრულყოფილი მხატვრული ფორმა. თავისი ფორმით „ვაი ჭკუისაგან“ ღრმად ნაციონალური ნაწარმოებია. სიცხოვლე და სიახლე, თავისებურება და სიმდიდრე ენისა, ანდაზის ლაკონიურობა და სიზუსტე ფრაზისა, მუსიკალური ჟღერადობა, ძალა და მოქნილობა, რიტმიული მრავალგვარობა იამბიკური ლექსისა, სიცოცხლით, დამახასიათებელი და ტიპიური თვისებებით აღბეჭდილი მკვეთრი ცხოველმყოფელი სახეები, ყოფითი სურათების ფართოდ გაშლილი პანორამა, მწყობრად აგებული მსუბუქი და მკვიდრი კომპოზიცია, სცენური ბრძოლის ენერგიული დაძაბული მოძრაობა-განვითარება, იუმორი და სატირა, ხოლო ალაგ-ალაგ იშვიათი ლირიზმი, — ყოველივე ეს ხდის გრიბოედოვის კომედიას ერთერთ უდიდეს ნაწარმოებად მსოფლიო დრამატურგიაში.

ცხადია, ასეთ ნაწარმოებს თავისი ღრმა კვალი უნდა გაევლო რუსული თეატრის განვითარებაში. მართლაც გრიბოედოვის კომედია გადაიქცა რუსული თეატრების დასაყრდენ დედაბოძად. რუსული თეატრალური კულტურის ორი მშვენება — მცირე თეატრი და მხატვრული თეატრი აღიზარდნენ და განმტკიცდნენ გრიბოედოვის კომედიის სცენიური განსახიერების გზაზე.

ჩვენთვის გრიბოედოვი ძვირფასია არა მარტო როგორც ერთერთი უბრწყინვალესი კომედიოგრაფი, არამედ როგორც დიდი საზოგადო, სახელმწიფო მოღვაწეც. თავისი ხალხისა და ქვეყნის მხურვალე პატრიოტი, იგი იღწვოდა სამშობლოს აღორძინებისათვის და მან დიდი ამაგი დასდო რუსეთის სახელმწიფოებრივობის განმტკიცების საქმეს, უცხოეთში მისი როლისა და გავლენის ზრდის საქმეს. იგი გულმოდგინეთ და მედგრად იცავდა თავისი სამშობლოს და თავის თანამემამულეთა ინტერესებს უცხოეთში და თავის მოვალეობის შესრულების დროს გმირულად დაეცა თავის პოსტზე.

ქართველმა ხალხმა გრიბოედოვი დაიტირა როგორც ღვიძლი შვილი და მიაბარა იგი თბილისის მიწას. საქართველოში გაწეული თავისი მოღვაწეობით გრიბოედოვი გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ იგი იმ დიადი და კეთილშობილი საქმის წამომწყებად, რომელიც მიზნად ქართველი ხალხის და დიდი რუსი ხალხის ძმურ დამეგობრებას და სულიერ დანათესავებას ისახავდა და რომელიც ასე ბრწყინვალედ დააგვირგვინა ჩვენს ეპოქაში ლენინ-სტალინის პარტიამ.

ქართველი ხალხი ამაყობს იმით, რომ ქართული მიწა, მთაწმინდის მიწა, სადაც განისვენებენ ჩვენი ერის სასიქადულო მოღვაწენი — ილია, აკაკი, ვაჟა, ბარათაშვილი, სიყვარულით და სასოებით ინახავს რუსი ხალხის საამაყო შვილს — უნიჭიერეს ბრძენ მწერალს ალექსანდრე გრიბოედოვს.

ალექსანდრე გრიბოედოვი

ჩაცკის მონოლოგი

(„ვაი ჭკუისაგან“. უკანასკნელი მოქმედების მე-14 გამოსვლიდან)

გონს ვერ მოვსულვარ... ბოდიშს ვიხდი!
მესმის და ვერა გავიგე-რა, ვერაფერს მივხვდი!
თითქოს სურთ კიდევ განმიმარტონ გულის დამწველი!
აზრი შერევა... რაღაცას ეგრძნობ, რაღაცას ველი!
(მგზნებარედ).
ვაჰ ჩემს სიბრმავეს! შრომის ჯილდოს ვისში ვეძებდი!
ვისკენ მოვქროდი! ვთრთოდი! ჩემს თავს ვაიმედებდი
ბედნიერების სიახლოვით!—დღეს ვის წინაშე
სათუთ სიტყვებით გადავშალე გულის სინაზე!
თქვენ კი!.. ო, თქვენ კი, ღმერთო ჩემო! ვინ აირჩიეთ?
როდესაც ვფიქრობ—თავბრუ მესხმის!.. ვინ ამჯობინეთ!
რათ შეძიტყუეთ იმედებით? რათ არ მირჩიეთ!
რატომ პირდაპირ არ სთქვით, რათ არ შემატყობინეთ,
რომ ყველაფერ მას, რამაც განვლო—მწარედ დასცინეთ,
რომ, თქვენში ხსოვნაც კი გაცივდა, ხსოვნაც კი—ყველა
იმ გრძნობებისა, რაც ჩვენს გულებს ანთებდა წინეთ,—
რაც ჩემში ოდნავ, ვერც სიმორეს ვერ შეანელა,
ვერც გართობამ და ვერც ადგილთა ხშირმა გამოცვლამ!
ვსუნთქავდი მათით მარად, მათით სიცოცხლე მსურდა!
რომ გეთქვათ ჩემთვის, რომ უცებ ჩემი ჩამოსვლა,
ჩემი დანახვა, სიტყვა, ქცევა—თქვენ უკვე გძულდათ —
იმავე წამში აღვკვეთავდი მე თქვენთან კავშირს
და, ვიდრე ასე, სამუდამოდ დაგმორდებოდით,
იმის გაგებას მეტად აღარ შევეცდებოდი —
ვინ იყო თქვენთვის საყვარელი და სათნო კაცი!
(დაცინვით)
ააღ მოფიქრების შემდეგ თქვენ მას შეურიგდებით!
ან კი ღირს თავის შეწუხება, დარდი და წყენა?
აბა განსაჯეთ: ნაზი მოვლით და ყურისგდებით —
ხომ შეგიძლიანთ ის ქმარ-მონად აღზარდოთ თქვენა,
გზავნოთ საქმეზე, იმსახუროთ ვით სახლის ბიჭი,
და თავდაბალი მორჩილების აღუძრათ ნიჭი!
ქმარი—მსახური, ცოლის ტვირთქვეშ მომხრჩელი მხრების! —
აი მაღალი იდეალი მოსკოველ ქმრების!
ქმარო! მე კიდეც ვამაყობ აწ თქვენს დაშორებას!
თქვენ კი ბატონო, მამავ,—მთვრალო ჩინით და ჯვრებით —
მაგ თქვენ ბედნიერ უმეცრების ბურანში თვლემას
გისურვებთ!.. მე თქვენ დასიძებით არ გემუქრებით!
არა, სხვა ვინმე გამოჩნდება, თქვენი რჩეული:
სალამდაბალი, საქმისკაცი მოქნილ თვისებით,
ქედმოხრილობას, მორჩილების ღიმს მიჩვეული,
რომ ის მომავალ სიმამრს ჰგავდეს ყველა ღირსებით!
დიახ! მე ახლა გამოვფხიზლდი სრულად და, რიდე
ბურუსიანი ოცნებების — თვალს მოვირიდე!
და აწ ურიგო არ იქნება, რომ ერთიანად —
ქალიშვილის და მამის მიმართ—ვით შეჰფერს იმათ,
თან იმ სულელი საყვარლის და მთლად ქვეყნის მიმართ
გადმოვანთხიო ჩემი გულის ბოღმა მთლიანად!
ვისთან ვიყავი! სად მაწამებს ბედი მუხთალი.
აქ ყველა მდევნის! მტანჯველთა ბრბო სულთამხუთავი,
ბრბო—სიყვარულში მოღალატე გამცემლებისა,
შურის და მტრობის დაუღალავ დამცველებისა,
უგბილ ჭკვიანთა და გარეწარ სათნო კაცების,
ავყია, მიხრწნილ დედაბრების, ბერიკაცების
ბრბო, ვისი სუნთქვაც ხლართავს ჭორის ქსელსა და ბადეს — ხმაშეწყობილად შეერთდა და გიჟად მაცხადებს!
თქვენ მართალი ხართ: ვინც მოასწრებს, თუნდაც ერთი დღით
თქვენ შორის ყოფნას, თქვენთან სუნთქვას ერთი ჰაერით
და მას გონება მაინც ისევ საღი დარჩება —
ცეცხლის ალიდან უვნებელი ის გადარჩება!
შორს მოსკოვიდან! აქ მომსვლელი მე აღარა ვარ!
წავალ, მოვძებნი, ქვეყნად კუნჭულს ამ ცის გარეთა,
შეურაცხყოფილ წმინდა გრძნობის შესაფარავად!
კარეტა ჩქარა, ჩემი კარეტა!

თარგმანი სიკო ფაშალიშვილისა

გიორგი შატბერაშვილი

ჭავჭავაძიანთ ბანზე

... მაღირსეთ მოგონება!..

ნინო ჭავჭავაძის ლექსიდან

ყველა მოსულა... გაშლილია ბანზე ხალები,
ცალმხარეს სხედან საქართველოს ტურფა ქალები,
ქალნი კი არა—მაიები და მანანები,
და მათ მიმოხვრას ხან ღიმილით, ხან დანანებით,
დაუფარავი გულისცემით, თვალის ანთებით
უთვალთვალებენ სულწასული ხახვის ფრანტები...

ყველა აქ არის... მაშ მასპინძლის ორი პეპელა
ვიღას მოელის წვეულების საამებელად?..
ორბელიანი კახეთშია, მისი ტრაბახი
აღარ გაისმის, მოწყენილა ლექსის ყაბახი.
ის თუ არ მოვა, მოფრინდება მისი უსტარი,
ღმერთმა დალოცოს... ის მარჯვენა შეუსუსტარი!..

ან იქნებ ტატოს გაუღიმებს დღეს სატრფოს თვალი,
ყრმას თუ ელიან, (ვაჰ!) სევდათა გასაქარვებლად...
არა, ის არა!.. ის უცნაურ გზებზე მავალი,
შორს გაიტაცეს უბედობის ბნელმა ქარებმა!..

მაშ ვის ელიან?..
„ისიც ბანზე... რისთვის მოვედით?..
სჯობდა დარბაზში, პიანოსთან... ახ, გრიბოედი!
დიაღ, ოღონდაც!..“ აჭრიალდა უკვე ჭიშკარი,
დღეს ნინოც ისე წარმტაცია, როგორც ცისკარი...
და ცმაყოფილი ხახვის ფრანტი ამ მიხვედრებით
წინანდლის ვარდებს გადახედავს ჩუმი ყვედრებით.

9 იანვარი, 1945 წ.

ანა ნიკოლაძე

გრიბოედოვი და საქართველო

1829 წლის ერთ ზაფხულის დღეს მთაწმინ-ზე ვიწრო ბილიკით მიემართებოდა ორი ზავრი. ისინი მიადგნენ მაღლა კლდეში გა-ჭკვეთილ აკლდამას. პირველმა მათგანმა მუ-ი მოიყარა ახალი საფლავის წინაშე. ეს ო პუშკინი. მწუხარე პოეტი დასტიროდა ნიბოედოვს.

რამდენიმე წლის შემდეგ გრიბოედოვის საფ-ავი მთაწმინდაზე ინახულა საქართველოში დმოსახლებულმა რუსმა დეკაბრისტმა მწე-ლმა პეტერბურგ-მარლინსკიმ. ერთ-ერთ წე-ლში იგი სევდიანად სწერდა: „მე ვიტირე ნიბოედოვის საფლავზე“-ო.

სიცოცხლეში გრიბოედოვი მთელი თავისი
ეტური გრძნობით იყო შეყვარებული მთა-ინდაზე. რომანტიკულ ფიქრებში გართულ ეტს ხშირად უყვარდა ხეტიალი მის მიდა-ებებში. თანამედროვეთა ცნობით გრიბოედოვი ეკანასკნელი მოგზაურობის დროს სპარსეთი-კენ თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ არ ბრუნდებოდა იქედან და მრავალჯერ ხუმ-ობით ეუბნებოდა თავის ახალგაზრდა მეუღ-ეს: „ნუ დასტოვებ ჩემ ძვლებს სპარსეთში, უ იქ მოვკვდე დამასაფლავე თბილისში, და-დავითის მთაზე“[1]. ამას მოწმობს, სხვათა ორის, კავკასიის მაშინდელი მთავარმმართებ-ის პასკევიჩის მიმართვაც საქართველოს ეგ-ერხოსისადმი, 1829 წლის 21 მაისით დათა-ღებული. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ანსვენებული მინისტრი სპარსეთში — ა. ს. ნიბოედოვი სიცოცხლეში ხშირად გამოსთქ-მდა სურვილს დამარხულიყო თბილისში, მა-დავითის ეკლესიაში. გრიბოედოვის ცხედარს ასვენებენ თბილისში. მინდა რა შეკასრულო ნსვენებული მინისტრის ანდერძი, მოგმარ-ავთ თქვენ უმაღლეს სამღვდელთას უმდა-ლესი თხოვნით დავასაფლავოთ იგი წმინდა ავითის ეკლესიაში“[2].

მთაწმინდას გრიბოედოვი უწოდებდა „თბი-ისის პოეტურ კუთვნილებას“ და ბუნებრი-ა, რომ თავის ტრაგედიაში „საქართველოს ამე“-ში პოეტმა მოქმედების მთავარ ფონად თაწმინდის მწვერვალი აიღო. ცოტა ხნის შე-დეგ ქართველმა პოეტურმა გენიამ ნიკოლოზ არათაშვილმა უნაზესი ფერებით დაგვიხატა თაწმინდის მომხიბლავი პეიზაჟები.

გრიბოედოვის ნიჭს საქართველოს პოეტუ-ი მთა ინახავს. ეს შემთხვევითი არ არის. რიბოედოვის სახელი მჭიდროდ არის დაკავ-ირებული საქართველოსთან. როგორც გრი-ოედოვის ერთ-ერთი თანამედროვე სწერს „სა-ართველო იყო მისი მოღვაწეობის ნამდვილი სპარეზი; აქ გაატარა მან ლიტერატურულ ნრომანა და სამსახურში საუკეთესო წლები თა-ისი ცხოვრებისა. მას უყვარდა საქართველო ეს ფაქიზად, ისე მგზნებარედ, როგორც ძა-ღიან იშვიათად, თუ ვისმე უყვარს თავის სა-უთარი სამშობლოც კი“.

საქართველოს გრიბოედოვის ცხოვრებაში და ემოქმედებაში უდიდესად დიდი ადგილი უჭი-ავს, მაგრამ სამწუხაროდ ეს საინტერესო თა-ი ნაკლებადაა გაშუქებული.

გრიბოედოვის შემოქმედებითი თემების დი-ი ნაწილი საქართველოსთან არის დაკავში-ებული. საკმარისია დავასახელოთ ამ მხრივ ითლიანად ან ნაწილობრივ საქართველოს ცხო-რებიდან აღებულ თემებზე დაწერილი თხზუ-ულებები და განსრახული გეგმები: „საქართვე-ოს ღამე“, „კალიანჩი“, „იქ, სადაც მიი-ლაკნება ალაზანი“, „რადამისტი და ზე-ობია“, „ვაგინის მოთხრობა“ და სხვ.

ჩვენის მოსაზრებით საქართველო გრიბო-ედოვს აღწერილი აქვს თავის უკვდავ კომე-დიაშიც „ვაი ჭკუისაგან“. ამ კომედიის ორი ფქტი მან საქართველოში დასწერა.

დიდ ყურადღებას იმსახურებს გრიბოედოვის როექტი ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართ-ველოს სოციალ-ეკონომიური გარდაქმნის შე-ახებ.

შესანიშნავია აგრეთვე გრიბოედოვის გეგმა ტფილისის გარდაქმნისა. აქ თითქოს ნაწინას-ნარმეტყველებია დღევანდელი დიდი აღორძი-ება საქართველოს დედაქალაქისა, ისევე რო-გორც მოსკოვის განახლების წინათგრძნობა ასახულია პუშკინის შემოქმედებაში.

გრიბოედოვი საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1832 წლის შეთქმულების მომ-ზადების პერიოდში. იგი უახლოეს მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ამ შეთქმულების მთავარ მონაწილეებთან — ჭიჭაშვილთან, აღ. ჭავჭავაძესთან და ტფილისის გუბერნატორ ზავილეისკისთან. გრიბოედოვს, როგორც დე-კაბრისტს, რილეევის უახლოეს მეგობარს, მო-სალოდნელია ჰქონდა მათთან იდეური კავში-რი. ცნობილია, რომ 1832 წ. შეთქმულებმა განიცადეს ერთგვარი გავლენა დეკაბრისტული მოძრაობისა.

1818 წლის 22 ოქტომბერს — გრიბოედოვი პირველად ესტუმრა საქართველოს. იგი ამ დროს დანიშნული იყო სპარსეთში რუსეთის რწმუნებულის მდივნად და მიემგზავრებოდა დანიშნულების ადგილს. გრიბოედოვის თბი-ლისში პირველი ჩამოსვლის შესახებ არსებობს მრავალი მოგონება, რომელთა მიხედვითაც შეიძლება აღვადგინოთ მისი ცხოვრება საქართველოში. როგორც ირკვევა, — გრიბოედოვი თბილისში დარჩენილა 1819 წლის 21 ოქტომბრიდან შემდეგი წლის იანვრის გასვლა-მდე. სწორედ ამ პერიოდში გრიბოედოვსა და დეკაბრისტ იაკობოვიჩის შორის მოხდა ცნო-ბილი დუელი, რომლის დროსაც პოეტმა დაჭ-კარგა ნეკი. სხვათა შორის, ამ ნიშნით იქნა გამოცნობილი თეირანში 1829 წლის 30 იან-ვარს დაფლეთილი სხეული გრიბოედოვისა. როგორც ეს დამოწმებულია პუშკინის მიერ და აგრეთვე ნინო ჭავჭავაძის ერთ კერძო წე-რილში.

1819 წელს, იანვრის 28-ს, გრიბოედოვი გა-ემართა სპარსეთისაკენ, სადაც მან დაჰყო სრული სამი წელი. ამ სამი წლის განმავლო-ბაში — გრიბოედოვი ახერხებდა საქართვე-ლოში ჩამოსვლას. დარჩენილია გრიბოედოვის დღიურის ჩანაწერები, რომელშიაც იგი 1820 წლის აგვისტის თბილისისაკენ გამომგზავრე-ბას აგვიწერს. ამ ჩანაწერებში გრიბოედოვი გვიხატავს საქართველოს ბუნების დიდებულ სურათებს.

როგორც სჩანს, გრიბოედოვს უძნელდებოდა სპარსეთში განმარტოვებული ცხოვრება. ის ვერავის უზიარებდა თავის განცდებს და შე-მოქმედებითს გეგმებს.

1822 წლის თებერვალში ყველა ბიოგრაფის მოწმობით და თვით გრიბოედოვის დღიურე-ბის მიხედვითაც, მას დაუტოვებია სპარსეთი და დაბრუნებულა ტფილისში. აქ მას ვხედავთ საქართველოს მთავარმართებლის — ერმოლო-ვის დიპლომატიური მდივნის პოსტზე.

ტფილისში ჩამოსული გრიბოედოვი შეხვდა ვილჰელმ კიუხელბეკერს—პოეტს—დეკაბრისტს და პუშკინის უახლოეს მეგობარს. ამ რომან-ტიულ ახალგაზრდას გრიბოედოვი გაეცნო ჯერ კიდევ 1817 წელს პეტერბურგში ყოფნის დროს.

1821 წელს დეკემბერში ვილჰელმ კიუხელ-ბეკერი ჩამოვიდა საქართველოში ერმოლოვის დიპლომატიურ მისიაში სამსახურისათვის. კიუ-ხელბეკერს ნ. მურავიოვის მოწმობით, საქარ-თველოში აუტანელი პირობები შეუქმნეს, რო-გორც თავისუფლად მოაზროვნე და თვითმ-პყრობელობის მოძულე ადამიანს.

1) В. Григорьев—«Описание последнего долга».
2) «Акты»... VII, 955

საქართველოში კიუხელბეკერმა დაჰყო სულ 6 თვე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იგი იმდენად დაუახლოვდა გრიბოედოვს, რომ მისი წასვლის შემდეგ პოეტი თავს სრულიად და-ობლებულად გრძნობდა. თავის ბარათში კიუ-ხელბეკერთან გრიბოედოვი ნაღვლიანად სწერს: „ღმერთს გეფიცება, შენთვის აქ კარი იყო! ჩემთვის? ეხლა ჩემს პოეტურ ვარჯიშობაში მხოლოდ კედლებს თუ გავენდობი ხოლმე, — მათ უკითხავ იშვიათად საკუთარ, ან სხვის თხზულებებს...“

მეორე წერილში გრიბოედოვი კიდევ მეტი გულის ტკივილით სწერს მეგობარს „შემოწო-ლილი უცნაური სევდის შესახებ“.

სწორედ ვილჰელმ კიუხელბეკერმა დაგვი-ტოვა ცნობა იმის შესახებ, რომ გრიბოედოვი ტფილისში ჰქმნიდა თავის უკვდავ კომედიას— „ვაი ჭკუისაგან“-ს,—გრიბოედოვი სწერდა — ივონებს კიუხელბეკერი — თითქმის ჩემთან, ყოველ შემთხვევაში პირველს მე მიკითხავდა ყოველ ახალ ცალკეულ თავებს, მაშინვე, რო-გორც კი დასწერდა ხოლმეო“.

გრიბოედოვის საუკეთესო მეგობრის სტეფა-ნე ბეგიჩევის გადმოცემის მიხედვითაც, როცა გრიბოედოვი 1823 წელს მარტში ჩავიდა სა-ქართველოდან რუსეთში, — ჩაიტანა კომე-დიის ორი აქტი...

საქართველო, როგორც ზემოთაც ვთქვით, გრი-ბოედოვს ასახული აქვს არა მარტო შესანიშ-ნავ ლირიკულ ლექსებში და დაუმთავრებელ მხატვრულ ნაწერებში, არამედ თავის გენია-ლურ კომედიაშიც „ვაი ჭკუისაგან“.

ჩაცკის განსახიერებაში უსათუოდ მოცემულია ავტობიოგრაფიული მომენტები. ჩაცკის სამი წლის მოგზაურობა უნდა გამოხატავდეს გრი-ბოედოვის ცხოვრებას საქართველოში, სადაც პოეტმა სწორედ სამი წელი დაჰყო.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს გრიბოედო-ვის კომედიის პირველი ვარიანტის შეოთხე მოქმედებაში წარმოთქმული ჩაცკის მონოლო-გი.

ამ მონოლოგში ჩაცკი მის გაგიჟებაზე პო-რის გავრცელებას ადარებს ზავის ჩამოვარდ-ნის სისწრაფეს. და აღწერს მთების ქვეყანას, სადაც მას უნახავს სტიქიის მძვინვარება:

—«Я был в краях, где с гор верхов ком снега ветер скатит,
Вдруг глыба, этот снег, в паденьи все охватит
с собой влечет, дробит, стирает камни в прах.
Гул, рокот гром, вся в ужасе окрестность
и что оно в сравненьи с быстротой,
с которой чуть возник, уж приобрел известность
Московской фабрики слух вредный и пустой».

გრიბოედოვის გენიალური კომედიის ეს ად-გილი ემზგავსება პოეტის დღიურის ზოგს ჩა-ნაწერს საქართველოში მოგზაურობის დროს. ამ ჩანაწერებში აღწერილია დარიალის ხეობა, ზავების მოწყვეტა, თერგის ხმაური, მაღალი კლდეების მსხვრევა.

ნიკოლოზ მურავიოვი იგონებს, რომ გრი-ბოედოვმა 1822 წელს ერმოლოვის დავალე-ბით, აღწერა საქართველოში მომხდარი მი-წისძვრა. ეს აღწერაც გვაგონებს გრიბოედო-ვის კომედიის ზემოაღნიშნულ ადგილს.

განსაკუთრებით ფართოდ საქართველოს თე-მა გრიბოედოვს გაშლილი აქვს ტრაგედიაში „საქართველოს ღამე“ და დაუსრულებელ პო-ემებში „კალიანჩი“ და ლექსში „იქ სადაც მიიკლაკნება ალაზანი“. „საქართველოს ღა-მე“-სთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი, სახელდობრ ის, რომ გენიალურმა რუსმა პოეტმა ამ ნაწარმო-ებით ერთმა პირველთაგანმა ასახა ბატონ-ყმობის საკითხი საქართველოში.

სამწუხაროდ აღნიშნული ტრაგედიის მხო-ლოდ ფრაგმენტებია დარჩენილი. თეირანის კა-ტასტროფის დროს სხვა ხელნაწერებთან ერ-თად დაიღუპა გრიბოედოვის ეს რომანტიული ტრაგედიაც.

„საქართველოს ღამის“ შესახებ მეტად სა-ინტერესო ცნობებს შეიცავს ფ. ბულგარინის მოგონება. „სამხედრო და დიპლომატიურ ვარ-ჯიშის პერიოდში, — გვიამბობს იგი, — დას-ავლეთის ეკმ, გრიბოედოვი მიეცემოდა ზოლმე ფანტასტიურ სამყაროს. საქართველოში უკა-ნასკნელად ყოფნის დროს მან შეთხზა რომან-ტიული ტრაგედიის გეგმა და რამდენიმე სცე-ნა თავისუფალი ლექსებით და რითმებით. ტრაგედიას დაარქვა „საქართველოს ღამე“. მან თემა აიღო ხალხურ გადმოცემათაგან და და-ამყარა ქართველების ჩვეულებზე და ხასიათზე“.

აქვე ფ. ბულგარინი მოგვითხრობს ტრაგე-დიის შინაარსს:

— „ერთი ქართველი თავადი თავისი ცხენის გამოსასყიდად აძლევს მეორე თავადს პატარა ყმაწვილს, თავის ყმას. ეს საერთოდ ჩვეუ-ლებრივი მოვლენა იყო, ამიტომ თავადი სრუ-ლიად არ დაფიქრებულა თავის საქციელზე, უეცრად მის წინაშე გამოცხადდება გაყიდუ-ლი ყმაწვილის დედა — თავადის ყოფილი ძიძა, მისი ქალიშვილის გამდელი და უსაყ-ვედურებს თავადს არა-ადამიანურ საქციელს, იგი თავადს ახსენებს ამაგს, რომელიც მიუძ-ღვის მისი ოჯახის წინაშე, და სთხოვს ან შვილის დაბრუნებას ან იმ თავადის ყმად გახდომას, რომელსაც მისცეს მისი ვაჟი, წი-ნააღმდეგ შემთხვევაში იგი ემუქრება თავადს ჯოჯოხეთური შურისძიებით.

თავადი ჯერ განრისხდება, მერე მოლბება და დაპირდება შვილის გამოყიდვას და და-ჯერდეს, თავადური წესის მიხედვით, ივიწყებს ანაპირებს. მაგრამ დედას ახსოვს, რომ გუ-ლიდან მოჰგლიჯეს საყვარელი შვილი და რო-გორც აზიელი, განიზრახავს საშინელ შუ-რისძიებას, იგი მიდის ტყეში, უხმობს ალაქ-ძებს — საქართველოს ბოროტ სულებს და უაკავშირდება მათ თავის ბატონის დაღუპვის მიზნით, თავადის სახლში დაბინავდება ახალ-კაზრდა რუსი ოფიცერი, იდუმალი არსება თა-ვის აზრთა განწყობილებით. გამდელი ალაქ-ძების საშველებით ჩაუსახავს თავადის ქალს იყვარულს რუსი ოფიცერისადმი და ახალ-კაზრდა ქალი იპარება სახლიდან საყვარელ-თან ერთად. თავადს სწყურია შურისძიება, ეძებს შეყვარებულთ და პოულობს მათ მამა-დავითის მწვერვალზე. იგი აიღებს თოფს, დაუმიზნებს ოფიცერს, მაგრამ ალებს მიაქვთ ტყვია მისი ქალიშვილის გულისაკენ. კიდევ არ დასრულებულა გაბოროტებული ძიძის შუ-რისძიება. იგი მოითხოვს თოფს, რომ განგმი-როს თავადი და საკუთარ შვილს კი ხვდება მისი ტყვია. ამრიგად უგრძნობელი, უგულო თავადი დასჯილია მშობლიური გრძნობების შელახვისათვის... ტრაგედია დამყარებულია, როგორც ზემოთაც ითქვა, ხალხურ ქართულ ზღაპრებზე, და რომ ისევ დასრულებულიყო, როგორც დაწყებულია, იგი იქნებოდა მშვენე-ბა არა მარტო რუსული, არამედ ევროპიულ ლიტერატურისაც. გრიბოედოვი გვიკითხავდა ჩვენ ნაწყვეტებს ზეპირად და სრულიად გულ-ცივი ადამიანებიც კი შეძრწუნებულნი იყვნენ დედის მუდარით — დაებრუნებინათ მისთვის შვილი. ეს ტრაგედია დაიღუპა ავტორთან ერ-თად“[3]. დარჩენილია აგრეთვე გრიბოედოვის უახლოესი მეგობრის სტეფანე ბეგიჩოვის მო-გონებები აღნიშნული ტრაგედიის შესახებ. ბე-გიჩოვი გვიამბობს, რომ უკანასკნელად სა-ქართველოში ჩამოსვლისას გრიბოედოვმა გა-მანდო დაწერილი მაქვს ტრაგედიაო. იქვე გა-მაცნო შინაარსი, თანაც წამიკითხა ტრაგედიის ნაწყვეტები ზეპირადო. ბეგიჩოვი გადმოგვცემს, რომ ჩემს დაბეჯითებითს თხოვნაზე წაეკითხა მთელი ტრაგედია, გრიბოედოვი არავითარ შემთხვევაში არ დამთანხმდაო. „მე ხელ კი-დევ მისდამი მიკერძოებული ვიქნები, — ამ-ბობდა გრიბოედოვი და ჩემს თავს სიტყვა მი-ვეცი არ წავიკითხო ხუთი წლის განმავლობა-ში. მაშინ კი როდესაც უფრო გულგრილი გავხდები, წავიკითხავ როგორც სხვის ნაწარ-მოებს. და თუ კმაყოფილი დავრჩები, მივცემ დასაბეჭდად“[4]. როგორც ვხედავთ, გრიბოედოვს ეს ნაწარმოები დასრულებული ჰქონია, ჩვე-ნამდე კი მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია.

„საქართველოს ღამე“-ს ლიტერატურულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა. დუდი-კინი ამ ტრაგედიაზე სწერდა: „კვანძი ტრაგე-დიისა ტრაგიკულია და მასში მოსჩანს აზრის ის სიღრმე, ურომლისოდაც ძნელია წარმოდ-გენა გრიბოედოვისა „ვაი ჭკუისაგანის“ შემ-დეგ“.

„საქართველოს ღამე“-ში გრიბოედოვმა ფარ-თოდ გამოიყენა ქართული ხალხური შემოქ-მედების მასალები. ამ ტრაგედიის თემად, რო-გორც სჩანს, გრიბოედოვმა აიღო სურამის ციხის მზგავსი რომელიღაც ქართული ლეგენ-და.

1822 წელს, როგორც გრიბოედოვის მიერ კიუხელბეკერისადმი მიწერილ წერილი-დან ირკვევა, პოეტს უმგზავრია კახეთში. კა-ხეთის ბუნებით, ალაზნის ველით მოხიბლული პოეტი სწერს ლექსს:

«Там где вьется Алазань»

საქართველოს თემასთან არის დაკავშირებუ-ლი გრიბოედოვის დაუმთავრებელი პოემა „კა-ლიანჩი“. პოემის თემად აღებულია სპარსეთ-ში გაყიდული ქართველი ჭაბუკის თავგადა-სავალი. სპარსეთში ჩასული ვოგზაურის უა-რადღებას მიიპყრობს მშვენიერი ყმა, რომე-ლიც აწვდის მას „კალიანს“. ვოგზაური ყმას გამოჰკითხავს ვინაობას. იგი მოუთხრობს „ა-ვის მძიმე ხვედრს. ირკვევა რომ ის არის საქართველოდან გამოტაცებული.

როგორც „საქართველოს ღამე“, ისე „კალი-ანჩი“ ამყოვნებს ავტორის მიერ საქართვე-ლოს სოციალური ცხოვრების ღრმა ცოდნას.

საქართველოს თემას ეხება აგრეთვე გრიბო-ედოვის მოთხრობის „ვაგინის ნაამბობის“ გეგ-მა. ამ მოთხრობის სიუჟეტი აგებული უნდა ყოფილიყო კავკასიის მთავარსარდლის გენე-რალ პავლე ციციშვილის დაღუპვის ამბავზე ბაქოზე გალაშქრების დროს 1806 წელს.

საინტერესოა აგრეთვე გრიბოედოვის წერი-ლი — პროექტი თბილისის რეკონსტრუქციის შესახებ. წერილის სათაურია: „ქალაქ თბი-ლისის ახლად აშენების უკეთესი წესების შე-სახებ“. ამ დოკუმენტში აღბეჭდილია ავტორის არა მარტო დიდი სიყვარული თბილისისად-მი, არამედ ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა ჩვენი დედაქალაქისა.

1828 წელს გრიბოედოვმა თბილისის სამო-ქალაქო გუბერნატორ, ცნობილ თავისუფალ მოაზროვნესთან ზავილეისკისთან ერთად შეა-დგინა ამიერ-კავკასიის კომპანიის დაარსების პროექტი, რომელშიც საქართველოს სოციალ-ურ, ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნის გრანდიოზული პროექტები იყო დასახული. პროექტში მოცემული იყო ამიერ-კავ-კასიაში, კერძოდ საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის ყვე-ლა დარგის ფართო განვითარების გეგ-მა, ფაბრიკების და ქარხნების დაარსე-ბის და ახალი სავაჭრო გზების შექმ-ნის პროექტები. გარდა ამისა, გეგმაში განსაკ-უთრებული ადგილი უჭირავს კულტურულ წამოწყებებს, სახალხო სკოლების დაარსებას და სხვა. ამ პროექტს დიდი ყურადღება მი-უქცევია თავის დროზე, მაგრამ თვითმპყრო-ბელური ხელისუფლება, რათქმაუნდა ასეთი სახალხო მნიშვნელობის საქმეს არ განახორ-ციელებდა.

კავკასიის მთავარმმართებელი ნ. ნ. მურა-ვიოვი თავის მოგონებებში ამ პროექტის შე-სახებ სწერს: — „როცა გრიბოედოვი პეტერ-ბურგს გაემგზავრა 1828 წელს გატაცებული თავის ფერებითა და გეგმებით, მან შეადგი-ნა მთელი საქართველოს გარდაქმნის გეგმა... ყველაფერი ეს დაწერილი იყო მშვერმეტყველ-ური და მგზნებარე კალმით და, როგორც ამბობენ, პროექტს სწერდა გრიბოედოვის კარ-ნახით ზავილეისკი, რომელიც მისი თაყვანის-მცემელი იყო“.

შემთხვევითი არ არის გრიბოედოვის დამე-გობრება თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ-თან, — რადიკალურ მოაზროვნე ზავილეის-კისთან, რომელიც, როგორც ისტორიული მა-სალებით ირკვევა, ახლო მონაწილეობას იღებ-და ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის 1832 წლის შეთქმულებაში. ზავილეისკი უახ-ლოეს ურთიერთობაში იმყოფებოდა მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან, კერძოდ, აღსა-ნიშნავია მისი და პოეტ ალექსანდრე ჭავჭავა-ძის მჭიდრო მეგობრობა. მას ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ბატონიშვილებთან. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს გრიბოედოვს, ზავილეისკის და საქართველოში გადასახლებულ დეკაბრისტებს აერთებდა საერ-თო სიძულვილი სულისშემხუთველი ბიუროკ-რატიული მონარქიული რეჟიმის მიმართ. ეჭვს გარეშეა, ჩაცკის ძლიერი პროტესტანტული სახის შემქმნელი გრიბოედოვი საქართველოში ეძებდა და ნახულობდა კიდეც კონგენიალურ განწყობილებათა ადამიანებს, ყურადღებას იქ-ცევს გრიბოედოვის ჩჩიდრო ურთიერთობა სა-ქართველოში მყოფ დეკაბრისტებთან. იგი ცდილობდა დასჯილი დეკაბრისტები გადმოე-ყვანა საქართველოში. ოდოევსკის მიმართ მას ამაოდ ჩაუთა ცდამ. ბესტუჟევი კი 1829 წელს მისი მეშვეობით იქნა გადმოყვანილი სა-ქართველოში. საქართველოში გადმოსახლე-ბულ დეკაბრისტებთან გრიბოედოვის ურთიე-რობისა და კავშირის შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის დეკაბრისტი პეტრე ბესტუჟევი, რომელიც საქართველოში ხედებოდა მას. „აღფოთებისა და თანაგრძნო-ბის ცრემლები კრთოდნენ მის კეთილშობილ თვალებში, — სწერს გრიბოედოვზე პეტრე ბესტუჟევი, — მისი გული სევდით ივსებო-და, როცა იგი გაიხსენებდა მის ახლობელთა დამარცხებასა და ტანჯვას. როგორც პატრიო-ტი და მამა, იგი თანაუგრძნობდა ჩვენს მდგო-მარეობას აშკარად, თუ ფარულად, მიუხედ-ვად საფრთხისა, რომელიც მოელოდა მას დევნილებთან ურთიერთობისათვის, დარჩენი-ლია საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბ-რისტის დობრინსკისადმი მიწერილი თანა-გრძნობით სავსე წერილი გრიბოედოვისა.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ გრიბოედოვი ერთ-ერთ თავის ნაწარმო-ებში დეკაბრიზმის იდეას უკავშირებს საქარ-თველოს ისტორიულ თემას. ეს თხზულებაა მისი დაუსრულებელი ტრაგედია „რადამისტი და ზენობია“.

ტრაგედიის „რადამისტის და ზენობიას“ გეგმა შემდეგ თემაზეა აგებული: მაღალი წო-დების წარმომადგენელნი აწყობენ შეთქმულე-ბას მეფის ტირანის წინააღმდეგ. შეთქმულება მარცხდება. ამბავი ხდება საქართველოსა და სომხეთში /ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, პოეტის დღიურების ჩანაწერების მი-ხედვით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ტრაგედიის შექმნისას იგი სარგებლობდა პირველ წყაროებით, — ტაციტის ანალებით. გრიბოე-დოვის მოსაზრებით შეთქმულება მარცხდება ი მიზეზით, რომ შეთქმულთა ბელადებს კავშირი არა აქვთ ხალხთან. როგორც სჩანს, გრიბოედოვმა ტრაგედია დეკაბრისტების და-მარცხების შემდეგ მოიფიქრა და თუმც პოე-ტი მხურვალე დამცველი იყო დეკაბრისტების იდეებისა, — იგი წინასწარ სჯერტდა, ზოგი გამოჩენილი დეკაბრისტივით, 1825 წლის შეთქმულების უპერსპექტივობას, რადგან ამ შეთქმულების მესვეურთ მჭიდრო კავშირი არ ქონდათ ხალხთა მასებთან.

ალექსანდრე გრიბოედოვი ქართულ საზოგა-დოებას უფრო დაუახლოვდა მას შემდეგ, რაც ცოლად შეირთო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავა-ძის ასული ნინო. ნინო ჭავჭავაძე იყო არა მარტო გრიბოედოვის შეყვარებული, ნინო ჭავჭავაძით გატაცებული, ნინ იყვნენ გამოჩენილი ქართველი პოეტები: ნიკოლოზ ბარათა-შვილი და გრიგოლ ორბელიანი. ეს უკანას-კნელი ხანდაზმულობის დროს ტასო ოგლო-ბეიოსადმი მიწერილ ერთს წერილში იგონებს თავის პირველი გატაცების საგანს. პოეტი ქე-ბას ასხამს ძველ ქალებს მანანა ორბელიანს, ნინო გრიბოედოვას და სხვებს და სევდიანად დასძენს: „ვინ არის ამათი მაგიერი? ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო“. გრიგოლ ორბელიანმა აღფრთოვანებული ლექსები მიუ-ძღვნა ნინო ჭავჭავაძეს, ნინო ჭავჭავაძის ოჯა-ხი ისევე, როგორც ქართველი მადამ რეკა-მიეს — მანანა ორბელიანისა, წარმოადგენდა ბრწყინვალე სალონს, სადაც იკრიბებოდნენ მაშინდელი საქართველოს მოწინავე ადამიანე-ბი. ამ სალონებში ინლუბოდა ახალი კულტუ-რის პირველი ყვავილები. აქ იკრიბებოდნენ საქართველოში ჩამოსული უცხო სტუმრები, აქ მღეროდნენ ქართველი და რუსი პოეტების ლექსებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ნინო ჭავჭავაძის დის ეკატერინესადმი მიძღვნილ ერთ ლექსში იხსენებს მას, როგორც ალექსანდრე ჭავჭავა-ძის მიერ რუსულიდან ნათარგმნი ცნობილი დეკაბრისტი . პოეტის ოდოევსკის ლექსის მომღერალს. ამ სალონებში ისმოდა არა მარ-ტო აზიური საკრავების ხმა, არამედ ევრო-პიული მუსიკაც.

ამ სალონში მოიხიბლა, ალბად, ღრმა მუსი-კალური ტალანტით დაჯილდოვებული გრი-ბოედოვი იმ ქართული სიმღერით, რომლის თემა მან გლინკას გადასცა 1828 წელს და, რომელზეც შესანიშნავი ლექსი დასწერა პუშკინმა.

საფიქრებელია, რომ ქართული მოაზროვნე ინტელიგენცია სწორედ ამ სალონებში გაეცნო პირველად გრიბოედოვს და მის უკვდავ კო-მედიას.

დასასრულ, არ შეიძლება მოკლედ მაინც არ შევჩერდეთ საკითხზე თუ რა გავლენა იქონია გრიბოედოვის დრამატურგიამ ქართულ ლიტერატურაზე. ამ ნაწარმოების ყველაზე მეტი გავლენა განიცადა პირველმა ქართველმა კომედიოგრაფმა გიორგი ერისთავმა. ერისთა-ვის პიესების არქიტექტონიკა ერთგვარად ენა-თესავება გრიბოედოვის კომედიას. ქართველი დრამატურგის პიესის „შეშლილი“-ს გმირი ტასო, ჩვენის ფიქრით, ჩაცის გავლენით უნ-და იყოს შექმნილი. ისევე, როგორც ჩაცკი, ტასო ახალი იდეებისა და გრძნობების ადამია-ნია. ამისათვის მას საზოგადოება შეშლილად აცხადებს: ორივე გმირის სიცოცხლე ტრაგი-კულად მთავრდება ძველ საზოგადოებასთან შებრძოლების გამო. მსგავსება არსებობს აგრე-თვე „ვაი ჭკუისაგან“-ში ერთ-ერთ პერსო-ნაჟს — მოახლე ქალ ლიზასა და „დავაში“ მოცემულ პერსონაჟ მოახლე ნენეს შორის. აღსანიშნავია, რომ გიორგი ერისთავის „დავა-ში“ მოხსენებულია გრიბოედოვის გმირები. ბელინსკი საქართველოს უწოდებდა რუსული მწერლობის პოეტურ აკვანს.

პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, ბეს-ტუჟევ-მარლინსკი, ტოლსტოი, გორკი, ჭაია-კოვსკი, — ორგანიულად არიან დაკავშირებუ-ლი საქართველოსთან. ჩვენი ქვეყანა მათი შე-მოქმედების დიდი შთამგონებელი იყო. გრი-ბოედოვის საფლავი მთაწმინდაზე ქართველი პოეტების გვერდით თითქოს სიმბოლოური გამოხატულებაა დიდი რუსი ხალხის და სა-ქართველოს კლასიკოსების თავისუფლებისა-თვის ბრძოლის თანხმოვანების და სიყვარუ-ლისა.

ნინო ალექსანდრეს ასულმა ჭავჭავაძემ უდიდესი როლი ითამაშა გრიბოედოვის ცხოვ-რებაში. პოეტის უკეთესი მოგონებანი დაკავშირებული იყო ამ ულამაზესი, ჭკვიანი და განათლებული ქალის სახელთან. გრიბოედოვი მას მურილიოს მადონას უწოდებდა. „ეს მშვენიერი ქალი შთაგონებას იწვევდა პოეტებში; სხვათა შორის გრიგოლ ორბელიანმა მას მიუძღვნა თავისი სატრფიალო ლირიკის საუკეთესო სტრიქონები. მაგრამ ნინო ჭავ-ჭავაძის ასულმა სიკვდილამდე ერთგულება შეინარჩუნა თავისი უბედური ქმრისადმი და მისი მწუხარე ფიგურა, გრიბოედოვის საფლავზე დახრილი, შეიძლება უმაღლესი ქალურ სათნოების, გრძნობის სიმტკიცის გამოხატულებად ჩაითვალოს“ (ვ. ქიქოძე). გრიგოლ ორბელიანის ქვემოდმოყვანილ ლექსში „მტირალ ნ...ს...“ გადმოცემულია სწორ-რედ ეს გლოვა ნინოსი ქმრის სიკვდილის გამო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

აჰა, ესე ვარ დ-ზამბახნი*

აჰა, ესე ვარდ-ზამბახნი, შენთა ელფერთ მომპარველნი,
წალკოტს ვნახენ, შვენებითა სრულ აღევსოთ ხევნარ-ველნი.
მომეგონნეს სურნელება, აღმიხსენდენ ღაწვნი მჭევლნი,
მყის შევიპყარ და შევსული, მოგართვ შენი გამძარცველნი.

ნეტარ მას ვინცა შენს ახლოს შენ მხოლოსათვის ოხვრიდეს,
ხმისა შენისა სმენითა ყურთა ატკბობდეს, ალხენდეს;
ბალახშთა ზოგჯერ თვისდამი საამოდ მღიმრად ხედვიდეს,
ხან ვარდთა ყნოსვით სთვრებოდეს, ხან ეკლით განიფხიზლებდეს.

მას წალკოტსა მშვენიერსა, სად მდელონი შენაკრბიან,
სად ზამბახნი სპეტაკობენ, სადა ვარდნი წითლად ჰლვიან
შორის ბუჩქთა კუპიდონნი იდუმალად იმალვიან, —
მუნ არ ურჩევ სეირნობას ვისაც გულნი ეწყალვიან.

*) ი. მეუნარგიას ცნობით ალექსანდრე ჭავჭავაძემ ეს ლექსი დასწერა თავისი უფროსი ქალიშვილის, ნინოს შესახებ.

გრიგოლ ორბელიანი

მ ზ ი რ ა ლ ნ... ს...

თუ ტურფანი თვალნი შენნი
ცრემლთ აფრქვევენ მწუხარებით,
სულისა შენის ტანჯვანი
არ არს უკეთუ ოცნებით,
მაშ მოვედ მნათო, ჩემს გულზე
შეწუხებულის შვენებით,
ნაცვლად შენსა მე ვიკვნესო,
შენის ჭმუნვისა მიღებით.
თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ,
ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის!
ვითა ნამი ზეციური
თვალთა შინა გამობრწყინვის,
ვარდებრივთა ღაწვთა ზედა
მარგარიტი გადმოგცვივის,
თუ შესწყვიტო, შევინანებ,
გიმზერ ჩუმად და მიხარის.

წინანდალი 1829 წ.

საამო არს სახილველად

საამო არს სახილველად, ოდეს ნინას ვარდი ეპყრას,
მაგრამ ვინ ჰსცნ

ალექსანდრე გრიბოედოვი

გერონტი ქიქოძე

მეცხრამეტე საუკუნეში რუსის ერმა მთელი თავისი ენერგია თითქო თავის ნაციონალურ ლიტერატურაში დააგროვა, რათა მხატვრული სიტყვის, კრიტიკის და პუბლიცისტიკის შემწეობით გადაეჭრა ის პრობლემები, რომლებსაც ევროპა წინად რელიგიური პაექრობით, კოცონებით, საპარიკადო ბრძოლებით და გილიოტინით სჭრიდა: და, ამ ლიტერატურას თავისებური წინასწარმეტყველები და მოციქულები, მქადაგებლები და მოწამეები, წმინდანები და ერეტიკოსები ჰყავდა.

გრიბოედოვი ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელია ამ ენებიანი, რეფორმის და რევოლუციის სულით გაჟღენთილი ლიტერატურისა; ის ნამდვილი წინამორბედია პუშკინისა, ლერმონტოვისა და გოგოლისა, ტურგენევისა, დოსტოევსკისა და ტოლსტოისა, რომელთაც რუსულ მხატვრულ მწერლობას სახელი გაუთქვეს მთელს მსოფლიოში.

ყველანი, ვინც ახლო იცნობდნენ გრიბოედოვს, პუშკინიდან და დეკაბრისტებიდან დაწყებული და ფადეი ბულგარინით გათავებული, ერთხმად ამტკიცებდენ, რომ ის უჩვეულოდ ნიჭიერი და უგანათლებულესი ადამიანი იყო. მართლაც, გრიბოედოვმა საუკეთესო ლიტერატურული, იურიდიული, ფილოსოფიური და ეკონომიური განათლება მიიღო ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც მასთან ერთად მრავალი მომავალი დეკაბრისტი ისმენდა ლექციებს, შემდეგ თვითგანვითარების გზით. გარდა ევროპიული ენებისა, მან აღმოსავლური ენებიც იცოდა. საუცხოოდ უკრავდა პიანინოზე და მუსიკალურ პიესებსაც სთხზავდა.

გრიბოედოვი გონებრივად იმ ეპოქაში მოძრაობდა, როდესაც თვით მეფის რუსეთში ძველი საზოგადოების საფუძვლები შეირყა და ღირებულებათა გადაფასება დაიწყო. დეკაბრისტების ბელადის პესტელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „განახლების სული ყველგან გონებათა დუღილს იწვევდა“. ვოლტერის, რუსოს, ენციკლოპედისტების იდეები შეიჭრნენ რუსეთის უნივერსიტეტის კედლებში, სტუდენტები გულმოდგინეთ ეწაფებოდნენ აკრძალულ ლიტერატურას, რადიშჩევის „პეტერბურგიდან მოსკოვში მოგზაურობას“ და სხვას. პირველმა სამამულო ომმა, ნაპოლეონის „დიდი არმიის“ დამარცხებამ გაამძაფრა რუსი ხალხის ნაციონალური შეგნება, ევროპიდან დაბრუნებულმა ოფიცრობამ, რომელიც თითქმის ორი წელიწადი უფრო თავისუფალ ჰაერს ისუნთქავდა, სამშობლოში ბატონყმობის და თვითმპყრობელობის სიძულვილის გრძნობა მოიტანა.

იმისდამიუხედავად, რომ გრიბოედოვი იდეოლოგიურად ახლო იდგა დეკაბრისტებთან, მრავალ მათგანს იცობდა, ხოლო თავად ოდოევსკის, რილეევს, ალექსანდრე ბესტუჟევს და კიუხელბეკერს მეგობრობდა, ის არასოდეს არ ყოფილა დეკაბრისტული ორგანიზაციის წევრი. მაგრამ დეკაბრისტები გრიბოედოვს თავიანთ კაცად სთვლიდნენ და, ცენზურის აკრძალვის ძიუხედავად, მათ ხელი შეუწყეს, რომ „ვაი ჭკუისაგან“ ხელნაწერების სახით გავრცელებულიყო ძთელს რუსეთში. მთლიანად, ეხარვეზებოთ კი კომედია მხოლოდ სამოციანი წლების დასაწყისში დაიბეჭდა, იცდათხუთმეტი წლის შემდეგ მისი დაწერის დღიდან.

ეს სულიერი თანამშრომლობა გრიბოედოვსა და დეკაბრისტებს შორის, რასაკვირველია, საიდუმლოებად არ დარჩენილა ნიკოლოზ პირველის მთავრობისათვის. ამიტომ, როდესაც 1826 წლის დასაწყისში, პეტერბურგში გამძიების დაიწყო 14 დეკემბრის აჯანყების გამო, გრიბოედოვი, რომელიც იმ დროს კავკასიაში მსახურობდა, „კავკასიის პროკონსულად“ წოდებულ, ოპოზიციურად განწყობილ გენერალ ერმოლოვთან, დაატუსაღეს და სატახტო ქალაქში გაგზავნეს. გამომძიებელი კომისიის წინაშე გრიბოედოვს თავი ღირსეულად ეჭირა. თავის ურთიერთობაზე დეკაბრისტებთან მან განაცხადა: „ისინი ხშირად თამამად მსჯელობდნენ მთავრობის შესახებ, მათს საუბრებში მეც ვიღებდი მონაწილეობას, ვკიცხავდი, რაც მაგნებლად მიმაჩნდა და უკეთესის განხორციელება მსურდა“.

როგორც ეტყობა, დეკაბრისტების დასჯამ და რეაქციის გაძლიერებამ ძლიერ გავლენა იქონია გრიბოედოვზე: თანამედროვეები, რომელნიც მას ახლო იცნობდნენ, ამტკიცებენ, ის ყველგან მუდამ მოწყენილი იყო და ხშირად თვითმკვლელობაზე ფიქრობდაო.

გამომძიებიდან განთავისუფლებულმა გრიბოედოვმა ბრწყინვალე კარიერა გააკეთა. რუსეთ-სპარსეთის ომის დროს ის თან ახლდა თავის ნათესავს, რუსის ჯარის სარდლის გენერალ პასკევიჩ-ერევანსკის და პასუხისმგებელ დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა თურქმანჩაის საზავო მოლაპარაკებაში და ნიკოლოზ პირველს პირადად წაუღო სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი. იმპერატორმა ის დიდი თანხით დაჯილდოვა და სრულუფლებიან ელჩად დანიშნა სპარსეთში მინისტრ-რეზიდენტის სახელწოდებით.

პუშკინი, რომელიც გრიბოედოვს უკანასკნელად პეტერბურგში შეხვდა, მისი სპარსეთში გამგზავრების წინ, ამტკიცებს, ის დაღონებული იყო, მას უცნაური წინათგრძნობა ქეჯნიდაო. ამასავე იმეორებენ გრიბოედოვის სხვა ნაცნობებიც; ის ამბობდა: „სპარსეთიდან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდები, მაგრამ ჩემს ძვლებს იქ ნუ დასტოვებთ, საქართველოში დამმარხეთო“.

მართლაც, გრიბოედოვი, ჩქარა თეირანში ჩასვლის შემდეგ, მოჰკლა მოლებისა და უმაღლესი მოხელეების მიერ წაქეზებულმა ბრბომ. მასთან ერთად მისი საელჩოს თანამშრომლები და მცველები დახოცეს, ორმოცამდე კაცი. ამ სისხლისღვრის საბაბი ის იყო, რომ გრიბოედოვმა, თურქმანჩაის ხელშეკრულების ძალით, მოითხოვა, რომ მისთვის სამშობლოში დასაბრუნებლად გადაეცათ რუსეთიდან ტყვედ გატაცებული ქალები და ორი ახალგაზრდა ქართველი თუ სომეხი ქალი კიდეც გამოაყვანინა ერთი დიდათ გავლენიანი ხანის, შაჰის ნათესავის ჰარამხანიდან. მაგრამ თუ სპარსეთის მთავრობამ რუსეთის სრულუფლებიანი ელჩის მოკვლა დაუშვა, ამის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ როგორც ის, ისე მისი მფარველი სახელმწიფოები გრიბოედოვს საშიშ ადამიანად სთვლიდნენ; ის, ერთი იმდროინდელი დიპლომატის ენით რომ ვთქვათ, „მარტოოდენ თავისი პიროვნებით ოცათასიან არმიას უდრიდა“.

თეირანის მთავრობა თავდაპირველად შიშობდა, რომ რუსეთის იმპერია რეპრესიებს მიმართავდა მისი ელჩის მოკვლის გამო და საომარ მზადებასაც კი შეუდგა. მაგრამ რუსეთის მთავრობა დაკმაყოფილდა პროტესტითა და ბოდიშის მოხდის მოთხოვნით; ეს მოთხოვნა სიამოვნებით შესრულებული იქნა საგანგებო დიპლომატიური მისიის მიერ, რომელმაც ნიკოლოზ პირველს ერთ-ერთი უდიდესი და უძვირფასესი ბრილიანტი მიართვა ყაჯართა საგვარეულო სალაროდან.

* * *

თანამედროვეებმა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, უწინარეს ყოვლისა, ზნეჩვეულების კომედიად ჩასთვალეს, ოციანი წლების მოსკოვის საზოგადოების სატირად. საზოგადოებაში ხშირად უჩვენებდნენ თურმე ფამუსოვების, მოლჩალინების, სკალოზუბების, რეპეტილოვების, ზაგორეცკების რეალურ პროტოტიპებს. უფრო ძნელი ამოსაცნობი ჩანდა ჩაცკის რთული ფიგურა.

ცნობილია რა სხვადასხვა გვარად ხსნიდა რუსული კრიტიკა ჩაცკის სახეს. პუშკინი მასში პეტრე ჩაადაევის ორეულს ხედავდა. გონჩაროვი ამტკიცებდა, გრიბოედოვმა ჩაცკის შემწეობით წინასწარ ბელინსკი და გერცენი ასახაო. მისი მონოლოგები და რეპლიკები გვაგონებენ ბელინსკის ცხარე იმპროვიზაციებს და გერცენის სარკასტულ ისრებს, რომელთაც ის რუსეთის ბნელ და შორეულ კუთხეებში ისროდაო. თვით გერცენი „ჩაცკის ფიგურაში, მელანქოლიურში, ირონიულში, გულისწყრომით ათრთოლებულში და საოცნებო იდეალებით აღსავსეში“, დეკაბრისტების ტიპის ასახვას ხედავდა. აკადემიკოსმა ალექსეი ვესელოვსკიმ სულიერი ნათესაობა დაამყარა მოლიერის მიზანტროპსა და გრიბოედოვის ჩაცკის შორის. ბოლოს, ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობდა, ჩაცკი თვით ავტორის ორეული, მისი მეორე მეაო.

ასეთი სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობა იმას ამტკიცებს, რომ ჩაცკი ერთერთი მეტად რთული და განზოგადოებული სახეა მსოფლიო ლიტერატურაში. მასში მართლაც შეერთებულია ბელინსკის შეუურიგებელი მხილებლობაც, გერცენის მტკივნეული სიყვარულიც რუსეთისადმი, დეკაბრისტების რეფორმატორული იდეალიზმიც, ალცესტის მიზანტროპიაც და თვით გრიბოედოვის მელანქოლიური ლირიზმიც. ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ ის ადამიანია და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ეს არის ჭკვიანი ადამიანი, მთელი თავით მაღლა მდგომარე თავის გარემომცველ საზოგადოებაზე. „გონებამახვილია, ჭკვიანია, მჭერმეტყველია“, ამბობს მის შესახებ სოფია, რომელიც ბავშვობიდან იცნობს მას.

„ვაი ჭკუისაგან“ მდიდარია კომიკური სიტუაციებით და კომიკური პერსონაჟებით, მაგრამ არსებითად ეს ტრაგედიაა. ესაა ტრაგედია კეთილშობილი და ამაღლებული გონებისა, რომელიც ისეთს საზოგადოებრივს წრეში ტრიალებს, სადაც, კაცმა მართალი სთქვას, არავითარი გონება არ არის საჭირო. ესაა ტრაგედია ადამიანისა, რომელიც უთანხმოებაში იმყოფება ემპირიულ სინამდვილესთან, ოცნებობს მის გარდაქმნას და ხედავს როგორ იმსხვრევა მისი ოცნება. და სრულიად კანონზომიერია, რომ ფამუსოვების, სკალოზუბების, ზაგორეცკების და ტუგოუხოვსკების საზოგადოება ჩაცკის გიჟად აცხადებს.

თუ ნიკოლოზ I სცდილობდა რუსეთი ერთ დიდ სატუსაღოდ ექცია, თუ სკალოზუბები ოცნებობდნენ მთელი ოპოზიციურად განწყობილი რუსის საზოგადოება სამ მწკრივად განწყოთ და მისთვის მეთაურად ფელდფებელი მიეცათ ვოლტერის მაგვარად, ისეთი თავისუფალი და მშფოთარე სულის ადამიანს, როგორიც ჩაცკი იყო, სამშობლო ერთ თვალუწვდენელ, ცარიელ და მდუმარე ველად უნდა ჩვენებოდა:

> თვალია წინ გიძევს ველი გაშლილი,
> მიდი ერთს ადგილს და დაისვენე.
> მაგრამ რას ჰხედავ? იგივ მინდორი
> და ირგვლივ იგივ სიცალიერე.
> სითაც გახედავ, მარჯვნით თუ მარცხნით,
> სამარის მსგავსად სდუმს ყველაფერი...
> რაც მეტსა ვფიქრობ, უფრო გულს მიკლავს
> უძლურის ტანჯვით მწარე ნაღველი.

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში ძრავალმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ თერგი გადალახა, რათა მოსკოვსა, პეტერბურგსა ან უკრაინაში მყუდრო ადგილი ეპოვნა მშვიდობიანი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობისათვის. ზოგიერთი მათგანი იქიდან სამშობლოში დაბრუნდა ახალი იდეებით აღჭურვილი. ესენი იყვნენ ქართველი თერგიალეულნი ამ ცნების ფართო გაგებით. გრიბოედოვი პირველი დიდი რუსი მწერალია, რომელმაც თერგი საწინააღმდეგო მიმართულებით გადმოლახა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, და საქართველოში თავისი მეორე სამშობლო აღმოაჩინა. პარადოქსი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ის პირველი რუსი თერგდალეულია, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი რუსეთის და საქართველოს კულტურულ დაახლოებას.

„საქართველო მისი მოღვაწეობის ნამდვილი ასპარეზი იყო, სწერდა გრიბოედოვზე მისი კარგი ნაცნობი რუსი ლიტერატორი ვ. გრიგორიევი, აქ გაატარა მან თავისი ცხოვრების საუკეთესო დრო ლიტერატურულ მუშაობასა და სამსახურში. მას საქართველო ისე ცხოვლად უყვარდა, როგორც იშვიათად უყვარს ვინმეს თავისი სამშობლო“.

მართლაც გრიბოედოვს, უნდოდა „თავისი ვნებიანი მისწრაფება არაჩვეულებრივი საქმეებისადმი, უსაზღვრო ზრახვებისადმი“ სწორედ საქართველოში გამოეყენებინა. ის ოცნებობდა საქართველოსთვის დაებრუნებინა ბათუმი, რომელიც იმ დროს ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა, და ოსტინდიური კომპანიის მსგავსად და ნაწილობრივ მის საწინააღმდეგოდ ამიერკავკასიის კომპანია დაეპირისპირებინა საქართველოში ვაჭრობის და მრეწველობის გასავითარებლად. ამ გზით საქართველო ეკონომიურად უნდა აყვავებულიყო და მისი წონა და პრესტიჟი გაზრდილიყო წინა აზიაში. საშუნაროდ გრიბოედოვის ნაადრევი სიკვდილისა და იმდროინდელი რუსეთის ჩამორჩენილობის გამო, ეს გრანდიოზული პროექტი ვერ განხორციელდა. გრიბოედოვმა ვერ მოასწრო აგრეთვე ორი მონუმენტალურად მოფიქრებული ტრაგედიის „რადამისტისა და ზენობიას“ და „ქართულ ღამის“ დასრულება. პირველს მათგანს, ავტორის განზრახვით, უნდა აესახა ტრაგიკული ეპიზოდი კლასიკური იბერიის ისტორიიდან, რომელიც რომაელ ისტორიკოსს ტაციტს აქვს მოთხრობილი. ხოლო რაც შეეხება „საქართველოს ღამეს“, როგორც დარჩენილი ფრაგმენტებიდან სჩანს, იქ დრამატიული კონფლიქტი წარმოშობილი იყო ბატონების მიერ ყმების გაყიდვის და ამრიგად წარმოშობილი შურისძიების ნიადაგზე, რაც მართლაც ხშირი შემთხვევა იყო ფეოდალურ საქართველოში; შექსპირის „მაკბეტის“ მსგავსად ავტორს დრამატიულ მოქმედებაში შეჰყავდა ზებუნებრივი არსებანი, ალები. ყოველივე ეს საქართველოს სინამდვილისა და ფოლკლორის ცოდნას მოწმობს. ამ ტრაგედიებზე უკეთესი ბედი ეწია პატარა ქართულ ხალხურ სიმღერას, რომელიც გრიბოედოვმა პუშკინს გააცნო და რომლის თემაზე ამ უკანასკნელმა ერთი თავისი ცნობილი რომანსი დასწერა („ნუ მღერი ჩემთან, ჯადოსანო“).

რამდენიმე თვით ადრე სიკვდილამდე გრიბოედოვი დაუმოყვრდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომლის უფროსი ქალი ნინო თექვსმეტი წლის იყო, როდესაც ის რუს პოეტზე გათხოვდა. გრიბოედოვი მას მურილიოს მადონას უწოდებდა. ეს იყო ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული ქალი, რომელიც, მისი დაახლოვებით მცნობი კ. ბოროზდინის მოწმობით, დაჯილდოებული იყო საუკეთესო წრიდან გამოსული და საუკეთესოდ აღზრდილი ადამიანისთვის დამახასიათებელი უბრალო ტონით.

ეს მშვენიერი ქალი შთაგონებას იწვევდა პოეტებში; სხვათა შორის გრიგოლ ორბელიანმა მას მიუძღვნა თავისი სატრფიალო ლირიკის საუკეთესო სტრიქონები. მაგრამ ნინო ჭავჭავაძის ასულმა სიკვდილამდე ერთგულება შეინარჩუნა თავისი უბედური ქმრისადმი და მისი მწუხარე ფიგურა, გრიბოედოვის საფლავზე დახრილი, შეიძლება უმაღლესი ქალური სათნოების, გრძნობის სიმტკიცის გამოხატულებად ჩაითვალოს.

გრიბოედოვს განსაკუთრებით ჰყვარებია მთაწმინდა, სადაც მისი ნამთი დასაფლავებულ იქნა მის მიერ გამოთქმული სურვილის თანახმად. ეს დაღარული კლდე, სადაც თოთხმეტი საუკუნის წინად ქართული ეკლესიის ერთერთი უდიდესი მოღვაწე დავით გარეჯელი ცხოვრობდა და სადაც უკვე ჩვენს დროში ქართველი მწერლების პანთეონი შეიქმნა, საპილიგრიმო ადგილად გადაიქცა როგორც ქართველებისა, ასე რუსებისათვის. აქ მეზობლად დამარხული არიან თანამედროვე ქართული კულტურის აღორძინების სახელოვანი წინამორბედნი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი და დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელიც რაინდული მორალის დაცვისთვის ბრძოლაში დაიღუპა.

ვაი ჭკუისაგან

გიორგი ნადირაძე

გრიბოედოვმა პუშკინზე ნაკლები იცხოვრა და მხოლოდ ერთი დასრულებული ნაწარმოები დასტოვა. მაგრამ რუსული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში მას თავის უდიდეს მემკვიდრეზე ნაკლები გავლენა როდი მოუხდენია. თანამედროვეთაგან სწორედ პუშკინი იყო პირველი მათ შორის, რომელთაც გრიბოედოვის პოეტურ ენერგიას მაღალი შეფასება მისცეს და მისი პიროვნების „არაჩვეულებრივი მიმზიდველობა“ შენიშნეს. და ეს მაშინ, როცა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად დაფარული იყო ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ახალგაზრდა მწერლის საოცარი დიაპაზონი, რომელსაც ფენომენალური ერუდიცია უმაგრებდა ხერხემალს. სწორედ მაშინ წერდა პუშკინი: „ადამიანებს სჯერათ დიდებისა და არ ესმით, რომ მათ შორის შეიძლება იმყოფებოდეს მეორე ნაპოლეონი, რომელსაც არ გაუწევია წინსაღმდეგობა არცერთი ასეულისათვის, ან მეორე დეკარტი, რომელსაც არცერთი სტრიქონი არ დაუბეჭდია „მოსკოვის ტელეგრაფში“.

„ვაი ჭკუისაგან“ ავტორს თავის სიცოცხლეში მთლიანი სახით დაბეჭდილი არ უნახავს. მისი შემოქმედებითი ისტორია მრავალი წლის დაძაბულ შრომას შეიცავს და მკვეთრი მაგალითია იმისა, რომ ჭეშმარიტი პოეზია მარტოოდენ ისტორიული მნიშვნელობის თუმცა საპატიო, მაგრამ მაინც ვიწროდ შეზღუდულ ფარგლებში. აქ საქმე მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობასთან რომ გვქონდეს, ის უსათუოდ დაიღუპებოდა იმ პერიოდთან ერთად, რომელმაც მის სახეებსა და სტრიქონებში დიადაც სრულყოფილი გამოხატულება ჰპოვა.

კომედია ცოცხლობს, უწინარეს ყოვლისა, იმ ჩაუქრობელ მბრწყინავი შუქით, რომელიც ყოველ ჭეშმარიტად მაღალ მხატვრულ ნაწარმოებს ათბობს და თაობათა სამოძღვრებოდ აქცევს, ეს შუქი მორალური კეთილშობილების იდეისაგან მომდინარეობს. იგი მთელს ნაწარმოებს მსჭვალავს ცოცხალ ორგანიზმში ამოძრავებული სისხლის მსგავსად. სწორედ ამიტომ არის, რომ პიესის მოხდენილი სიტყვიერი სამოსი არქიტექტონიკულ მთლიანობაში ორგანიულად შეზრდილი ორნამენტის შთაბეჭდილებას სტოვებს.

მე ახლა სწორედ ამ მორალურ იდეას მინდა მივაქცო ყურადღება:

„ჩემს კომედიაში,—სწერდა გრიბოედოვი,—ოცდახუთი რეგვენი მოდის ერთ საღად მოაზროვნე ადამიანზეო“. დააკვირდით ამ რეგვენთა პარადს და თქვენ, უწინარეს ყოვლისა, ზნეობრივი სიმახინჯის ნიღაბები წარმოგიდგებათ. გადაიკითხეთ ჩაცკის ბრწყინვალე მონოლოგები და ყველგან ერთ თავისებურებას შენიშნავთ: ისინი არსებითად მორალურ ინვექტივებს წარმოადგენენ.

ფამუსოვების და მოლჩანოლინების მონური მორალი, რომელიც ადამიანში ბიუროკრატულ წარჩინებას აფასებს და არა შინაგან კეთილშობილებას, გზას უღობავდა რუსეთს პროგრესულ განვითარებისაკენ. მოლჩანლინი ასე განმარტავს ამ „მორალის“ პრაქტიკულ შინაარსს:

Мне завещал отец:
Во-первых угождать всем людям
без из'ятия;
Хозяйну, где доведется жить;
Начальнику, с кем буду я служить;
Слуге его, который чистит платье;
Швейцару, дворнику — для
избежанья зла;
Собаке дворника, чтоб ласкова была.

მოლჩალინის მიერ ესოდენ გულახდილად აღიარებული „მორალური“ პრაქტიკა, რომელიც რუსეთის კრიტიკულმა აზრმა დაგმო და ძალიან მჭერმეტყველურად დაახასიათა როგორც „ნებაყოფლობითი მონობა“ გრიბოედოვის კომედიის მთელი ნეგატური პერსონაჟის მრწამსია.

ამ „ნებაყოფილობით მონობას“ გრიბოედოვი უპირისპირებს თავის პოზიტიურ მორალურ იდეალს, რომელიც შესანიშნავი მჭერმეტყველებით არის გაშლილი ჩაცკის მონოლოგებში.

ფეოდალური რუსეთის გამოყვანა უძრავი მდგომარეობიდან შეუძლია იმ თაობას, რომელიც ჰუმანიური კეთილშობილების პრინციპებით იქნება შეიარაღებული. მას, მიზნად პრაქტიკული მოღვაწეობა უნდა ჰქონდეს და არა ფარისევლობა **Служить бы рад, прислуживаться тошно,** ის საქმეს უნდა ემსახურებოდეს და არა წარჩინებულ პირებს: **кто служит делу, а не лицам.**

აი ესაა გრიბოედოვის პიესის ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე. ის თავის უმთავრეს ხაზში კრილოვის ლიტერატურულ ტრადიციას მიჰყვება. რუსეთის ფეოდალურ და ბიუროკრატულ შენობას იგი მორალური იდეების წერაქვით ურტყამს.

ვერცერთი მხატვრული ნაწარმოები ვერ გაუძლებს დროის შეუბრალებელ მსჯავრს თუ იგი ადამიანის ზნეობრივ გაკეთილშობილებას არ ემსახურება. და თუ გრიბოედოვის კომედიამ მთლიანი სახით მოაღწია ჩვენამდე და ასე გადაეცემა იგი მომავალ თაობებსაც, ამის მიზეზი მისი სულის მორალური კეთილშობილებაში უნდა ვეძიოთ.

ომგაღახღილი*)

გორის ჩხეიძე

ომის დაწყების დღეს წავიდა ნიკა თავის სახლიდან. ციცინომ ქმარი სოფლის საბჭომდე გააცილა მხოლოდ, არც ლაპარაკი დასცალებია, არც გამომშვიდობებია, საგზალიც ვერ გაატანა ისეთი, მის მარჯვე ხელსა, ერთგულ გულს რომ შეეფერებოდა, შეჰშვენოდა. იმ დღესვე ავრძნო ოჯახის წარმოების მთელი სიმძიმილი. ღამით ციცინოს გვიანამდე აღარ დაეძინა. სამი ბავშვი, დედამთილი და თავისი თავი ერთად დაატყდა თავს საპატრონოთ, სარჩენად. ომი ჩქარა გათავდებოდა თუ გვიან, ამაზე არც კი უფიქრია. წავიდა ქმარი, მაშასადამე მისი ადგილი ოჯახში, მინდორში, ტყეში და ველში ვინმეს უნდა დაეკავებინა ნიკას ოჯახიდან. შვილები პატარები იყვნენ. ამიტომ ეს ვინმე მხოლოდ ციცინო იყო და უმალვეც დაიწყო მეთაურობა. დილითვე შვილებიან-დედამთილიანად გაეშურა ქარხლის და სიმინდის სამარგელში. პირველ დღეს გაუჭირდა, მაგრამ ქმრი არ იყო შინ, მამა აღარ ადგა თავს შვილებს, ცოლს, დედას და ეს საკმარ იყო დაღლას მოჰრეოდ, დაღლა მოეღალა და დაეთრგუნა. შემოდგომაზე ბეღელში ციცინოს წინანდებულზე ნაკლები როდი ეყარა ჭირნახული, ნიკას წერილი ერთი სექტემბრის ბოლოს მოვიდა, მეორე იანვარში. მერე შეწყდა და მესამე წელიწადმაც გაიარა აღარა იცოდა-რა ქმრის. აღარც ცოცხალი ჩანდა და აღარც მკვდარი. მეორე წელს სოფლად დაჭრილი ჯარისკაცები დაბრუნდნენ. ნიკასთან ერთად იყვნენ ბრძოლაში, ერთ პოლკში. არ გვინახავს, არ შეეხვედრიეართო, სთქვეს. ამას კი ამბობდნენ, მაგრამ ამავე ჯარისკაცებიდან სულ სხვა-დასხვა ხმები იფეთქებდა, მოედებოდა სოფელს—„ნიკა მკვდარიაო“. და ისევ მიწუმდებოდა ხმა. არც ციცინოს, არც შვილებს და არც დედამთილს არ უნდოდათ დაეჯერებინათ ნალაპარაკევისათვის, რადგან მაგალითი წინ ედოთ: ერთ ფლეველ ჯარისკაცზე მოვიდა ცნობა—„თქვენი შვილი გმირულად დაიღუპაო, ბიკოვის სასაფლაზე დაგმარხეთო“, ის კი მშვიდობით დაბრუნდა შინ, თუმცა დაშავებული, მაგრამ მაინც ცოცხალი.

იმ ადრიან გაზაფხულს დარხეული ხმის სიმართლე კი ეჭვს აღარ იწვევდა. ეგ იყო ციცინოსა და მის დედამთილს აღარ უმხელდენ. ზოგნი ამბობდნენ—მაინც არ დაიჯერებენ, ზოგნი—დაე ნუ ეცოდინებათ, ამდენ ჰქონდეთ ასე სჯობიაო, ზოგნი კი გაიძახოდნენ—რა ჩვენი საქმეაო. ჩვდებოდა კი ციცინო, რომ მის თავს კარგი რამ არ იყო. ოჯახს ზარალი ზარალზე მოსდიოდა და მეზობელ ნათესაობაში უტიფრებმაც აჩინეს თავი.

შაბათს ბიძა ესტუმრა ციცინოს ბრილიდან. სტუმარი შინ მხიარულად შემოვიდა. ძმისწული ციცინო და მისი შვილები გადაჰკოცნა. დედამთილი მოიკითხა, ხოლო ნიკაზე კრინტიც არ დასძრა, თითქოს ასეთი ვინმე ციცინოს ოჯახს არც ჰყავდა. ისიც არ იკითხა ან ტყუილი, ან მართალი ხომ არ გაგიგიათო.

ციცინომ ბიძას გულუხვი სადილი გაუმართა. სუფრა შოთებითა და შემწვარ-მოხრაკულებით აუვსო, ტოლი დაუპატიჟა და ერთი ბორჯომის ბოთლი სიმინდის საია და ერთი ღოქი ალიკარტის ღვინო შემოუდგა. ბიძამ საღამომდე იღრეობა და წასვლის წინ, როცა ძმისწულის დედამთილი გარეთ გასული დაიგულა, უსაყვედურა ძმისწულს.

— აგრე ყოფნა როდემდის გინდა?

— სხვა რიგად აბა როგორ ვიყო,—გულუბრყვილოდ მიუგო ციცინომ.

— სანამ ფერი გაქვს და ხორცი, პატრონი მონახე!—უთხრა ბიძამ და განაგრძო — რაღა დაგიფიცო, ჭარხალში რომ აგრონომი მუშაობს, ისა გთხოვს გაპყვე ცოლად.

— ნუ ხუმრობ ძია. ვინ მე, ვინ აგრონომი—სცადა გაბიაბრუება ციცინომ.

— ცოლქმრობასა საცოლო და საქმრო უნდა და სხვა არაფერი. მერე რა, რომ ის აგრონომია! იცის კარგი ღვინის ნაძირალა. ა არ იყვეს, კარგი კაცის ნაცოლარი ხარ.

— ნაცოლარობას ჯერ ღმერთმა ნუ მომასწროს. იქ კი, სამოცდაათს რომ გადაცილებით მე და ჩემი ნიკაი, ორიოდე დღით რომელიც გავასწრებთ ანგარიშში ჩასავდები არ არის.

— ჰეი, ჩემო ძმისწულო, შეეპარა ახლა პიძა,—ნათქვამია, რაღა მკვდარი, რაღა შინ დაუბრუნებელია.

— ძია ბავშვები მაინც მოიხათრეი!—შეეხვეწა ციცინო.

— სწორედ იმ ბავშვებისთვის გირჩევ მეცა, გაზდაში მოგეხმარება და შენაც პატრონი გიყოლება.

— თუ კიდევ გამიმეორებ ეგეთ სიტყვებს, შენს ნათესაობას დავკარგავ. როგორ, ჩემი ბავშვები კარხედ ჯერ ვის მივაყენე?—გაჯავრდა ციცინო და ის ღამე ლენცოფა ნაპამიავით პორგავდა ლოგინში. დილით გამოვიდა და წუხანდელ ნაწყენს ორი და სამიც ზედ დამატა. თბილი და წყნარი ღამე იყო. ციცინოს სარეცხი გარეთ, დერეფნის სკეტებზე ქონდა დაკიდებული. დაავიწყდა, თუ როგორ იყო, გარეთ დარჩა. არ გაგონილი ამბავი მოხდა ნაკარგორაში. ქურდს ციცინოს საგარეო ტანსაცმელი, შვილის ციცინოს შეინდისფერი მერინოსის ნაქსოვი ზედაწელი და ბიჭების შალვრები ჩამოეხსნა და ალბად სხვების ჩამოხსნა, რომ ვერ მოესწრო მარტო ის გაეტაცნა. ყვირილსა, ძებნასა და ალიაქოთში, ულუმბის ღვთისმშობლის დღეს ნიკას სახელზე ჩაგდებულ ქოსმენ ერკემალს აეწყვიტნა, შარაში გადამხტარიყო, ბიჭებს საყოჩაოდ დაჰყავდათ, ბუცავი იცოდა, გამოჭკიდებოდა მეზობლის ბიჭს. დატაკებოდა, მუხლის კვირისტავი დაეტკრა. სამაგიეროდ ბიჭს ძაღლის მოსაგერიებელი მსხლის ხორკლებიანი ფოლადივით მძიმე და მაგარი ტაფელა ცხვარისთვის შუბლში დაეკრა და ერკემელი უსულადოდ ჩამორძვალიყო.

აქ დედამთილიც აქაქანდა:

— მოშველეთ ქა, მოშველეთ, წაგწყვიტა. სააქოსაკენ გადამაგდეს კუპრის ცეცხლში.

— ქა, რა მოხდა?—ეკითხებიან გარშემოხვეული ქალები.

— ქა, ჩემი ნიკა ვნახე სიზმარში. ეგრე ამოიარა შარითა, გამხდარ-გაბავეწებული იყო, შემოაღო საჯალაბოს კარი, შემოვიდა, დედაპოძთან გაჩერდა. ორივე ხელი გამომიშვირა მის დამწვარ-დადაგულ დედასა და მეუბნება: „აი დედილო, შეხედე როგორ მაქვს თითები დაკრუნჩხული და კბილები შეკრული. ამხსენი, მისვი, მაჭამე. ჩემს სულს ეშმაკები დასდევენ, მიგალ სამოთხის კართან და წინ გადამეღობებიან, კალთებზე მეკიდებიან, არ მიშვებენ შიგა“. ვაი მის დამწვარ დედასა! ვაი... ვაი...

— სხვა არა არის რა, გარდაცვლილი ხელის გახსნას, სულის საქმის ვალს ითხოვს,—ახსნეს ნიკას დედის სიზმარი მოხუცებულებმა—მერე ვინ არის მშიერი, ჩვენი ნიკაი, სავსე ოჯახი არ დატოვა თუ როგორა?! აქ ესენი ხელს უშერენ, იქ სული სატანჯველს მისცემია, ვაი დედასა, ვაი დედასა, ეგ არის კაცს ბედი, გადაეღვენ ოჯახს სანთელივითა და მერე აღარც კი მოგიგონებენ.

— ხალხო ნუ შემშლით, ნიკასთვინ არა მეშურება რა, ნამდვილი არ ვიცი რა და მკვდრად როგორ გამოვაცხადო!—დაადგა თავისას ციცინო.

— ქვეყანას უნახავს მთხრობელი და შენ კი აღარ გჯერა?!, აგერ ილაი, აგერ ეგაი და ყველანი ვინც მათთან იყვნენ.

ციცინომ უმცროსი ვაეი წაიყვანა, ფლევისკენ გაეშურა, ევასთან პირზე დასადგომად, მართლა ნახა თუ არა გაზაფხულზე მატარებელში მთხრობელი.

ევა ბოსტანში დაუხვდა. ხახვს იღებდა, გალეულს სწნავდა, ღობეზე ჰკიდებდა.

— ევა ქმარშვილს გაფიცებ, დაუფარავად მითხარი რაც იცი, ნიკაზედა,—შეეხვეწა ციცინო,—ქალო შრომა ვერას მაკლებს, იმდენსა რასაც ენები მიშვება. ღამის შემშალონ, თავისთვის ცუდი რამ ამატეხონონ.

— მართალია,—გაუტყდა ევა,—მე ხომ მარტო არ ვიყავი იმ მატარებელში, ილაც იქ იყო და ბარემ რვა სხვაცა. ჯავახელ ქერიანიძეს, ომის შემდეგ სულ დაფლეთილი უნახავს ნიკას სხეულის ნაწილები, შეუგროვებია ერთად, ყუმბარის ორმოში დაუმარხავს, აკი, თვითონაც ის ქერიანიძე დასახჩრებულია, იმის თვალის გასწორებას მაგარი გული უნდა. ერთ კვირას მელანდებოდა. აღარც სახე აქვს, აღარც ტყავი და ქოჩორი თავზედა, თითქოს საგანგებოდ გაუტყავებიათო.

— მაშ აგრე?! ძლივს ამოიბრუნა სული ციცინომ,—ოღონდაც გადარჩენილიყო და თუნდაც ისე დაჭრილი დაბრუნებოდა თავ

 პროფ. იუსტინე აბულაძე

ავთანდილის ეტიმოლოგიისათვის

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების მე-3 ტომში შევეცადეთ (იხ. წერილი: „ვეფხის-ტყაოსნის“ ორი უმთავრესი გმირის სახელთა „ტარიელ“-ის და „ავთანდილ“-ის ეტიმოლოგიისათვის“) ცხადგვეყო სახელის „ავთანდილ“-ის ეტიმოლოგია. ჩვენ წარმოვიდგენდით მაშინ, რომ ეს სახელი შემდგარი იყო არაბული „ავტან“ avtan -ისაგან (მრავალ. რიცხვია სიტყვისაგან „ვატან“ — vatan — სამშობლო) და სპარ. სიტყვისაგან დილ (dil — გული); რადგან ასეთი თანრიგის სიტყვები ბევრია თვით სპარსულშიაც. მაგალითად ვატანგაჰ — არაბ. ვატან—სამშობლო და სპარს. გაჰ—ადგილი (კუთხე, მხარე), ვატან ფერეთსთ ან ვატან დოსტ — სამშობლოს მოყვარული (დოსტი), პატრიოტი; სობჰ გაჰ — ასო-ასოდ — დილის ჟამი, დილა და სხვა. მაშასადამე ავტან-დილში ჩვენ ვგულისხმობდით სამშობლოს გულს.

ყველა ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის სპარსულ-არაბული შეჯვარების მაგალითები, სადაც მსაზღვრელი — გენეტივი წინ უძღვის საზღვრულს.

აწ ამ სახელის ხელახალი რევიზიის შემდეგ, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ სიტყვის პირველი ნაწილი — „ავტან“ — „ვატან“ — (საცხოვრებელი, კერა, სამშობლო) სწორედ არის მიგნებული, რაც უეჭველია, მით უმეტეს, რომ ჩვენი ძოგზაურობის დროს ვაკე-იმერეთში (ამის შესახებ მოხსენდა თავის დროზე საქართველოს საისტ. და საეთნ. საზოგადოებას) მოპოებულ იქნა, ჩვენს მიერ, — ხანის ეკლესიის ნივთების ნუსხის გაცნობის დროს, — ასეთი ცნობა: „ჩვენ მუსხელას შვილმა მორდალმა ვათანდილ შეგიმკევით და მოვაჰედინეთ ჯვარი ესე წმინდის გიორგის (ზო)უდედრისა ასულისა ჩვენისა სალხინებელად, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“... და სხვა. აქედან აშკარად სჩანს, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმის „ავტან“-ის ნაცვლად, ამ სახელის პირველი ნაწილისათვის გამოყენებული ყოფილა მხოლოობითიც— „ვატან“ (ვათანდილში); საერთოდ აქ საინტერესოა ჩვენთვის ის, რომ ამ ჩვენამდის მოღწეული სახელის პირველ ნაწილთან ანალოგიურად, მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება პირის სხვა საკუთარი სახელიც; შდრ. ამას თუნდაც არაბ. მრ. რიცხვი „ავლად“ — სიტყვისაგან ვალად (ქართულად-ძე), რაც უეჭველია წარმომდგარია არაბულ კონსტრუქციიდან ვალად-ულ-ავლასაგან ძეთა ძე, — ე. ი. რჩეულიძე.

ავლად არის გმირის სახელი „შაჰ-ნამე“-ში (იხ. ი. აბულაძე შაჰ-ნამეს ვერსიების ლექსიკონი, საკუთარ სახელთა საძიებელში „ავლად“-თან).

რაც შეეხება მოცემული სახელის მეორე ნაწილს — „დილს“, არსებული ლიტერატურის მიხედვით (იხ. „Н. Я. Марр — Витязь в барсовой шкуре“ и новая культ. — историческая проблема“ „Изв. АН“, стр. 427, строка 26—ая. Шермадин и пр. სადაც შერმადინ სამართლიანად არის განმარტებული სიტყვებით: სირცხვილიანი, სინიდისიანი; („მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად“) შერმადინ იგივე არაბ. შერმ— სირცხვილი, სინიდისი, და ალ-დინ სარწმუნოებაა და ჰნიშნავს სარწმუნოების სინიდისს, ან სარწმუნოების სიმორცხვეს, კრძალულებას (შეად. აგრ. ნურადინ). ჩვენ ანალოგიით ვახერხებთ საბოლოოდ გამოვარკვიოთ ავთანდილის ეტიმოლოგია, რადგან როგორც ზემორე მოტანილი სახელის, — „შერმადინის“ ისე „ავთანდილის“, ამ მეორე ნაწილში „დილ“ ჩვენა გვაქვს არაბ. დინ — სარწმუნოება, და, მაშასადამე აქ არაბული ნაწევარის ალ-ის—ლიამის (ლ) d- ეთი დაწყებულ სიტყვას din - თან შეხვედრის და ასიმილირების გზით, მიღებულ იქნა ad-din—al din -ისაგან) და ამ უკანასკნელისათვის ამ სახელის პირველი ნაწილის, ანუ საზღვრულის ვატან ან ავტანის წინ წამძღვარებით — სრული სახელი ავტან-უადდინი, ან ვატანუდდინი, რაც ქართულის ფონეტიკურ ბუნებას აუთვისებია „ავთანდილის“ სახით.

ამნაირად, ჩვენი ღრმა რწმენით, საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ტერმინ ავთანდილში, (ვათანდილ) ჩვენ გვაქვს არაბ. ავტანუდდინ, ან ვათან ადდინ, რაც ჰნიშნავს, ასო-ასოდ სარწმუნოების ბინას, კერას, სამშობლოს (არაბ. ნუანსის მიხედვით, სარწმუნოების კერას, ბურჯს, სიმტკიცეს).

შალვა აფხაიძის „ფიცი“ ინგლისურ ენაზე

უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებისაგან მიღებული ცნობით, ნიუ-იორკში ამერიკელი მწერლების ლიგამ გამოსცა „გაერთიანებული ერების სამხედრო ლექსების“ მორიგი კრებული. ამ კრებულში მოთავსებულია ინგლისურად თარგმნილი შალვა აფხაიძის ცნობილი ლექსი „ფიცი“.

„სახიფათო ასაკი“

პრემიერა გრიბოედოვის სახელობის თეატრში

ძალიან კარგად მოიქცა გრიბოედოვის სახელობის თეატრი, როცა მან მხიარული, ნამდვილად გასართობი კომედიის ძიებისას მიმართა ჩვენში ძალიან ნაკლებად ცნობილ ინგლისელი დრამატურგის, არტურ პიეროს პიესას „სახიფათო ასაკს“. პიეროს პიესები თითქმის არ დადგმულა საბჭოთა კავშირის თეატრების სცენაზე, ეს მაშინ, როცა პიერო არის მე-19 ს. მეორე ნახევრის ერთ-ერთი ძალზე ნიჭიერი, ფრიად ნაყოფიერი, პოპულარული დრამატურგი და ცნობილი აქტიორი.

„სახიფათო ასაკი“ ფრიად ტიპიური პიესაა პიეროსათვის. მასში ისე როგორც მის მრავალ პიესაში ასახულია ვიქტორიანული ეპოქის შუაფენის ინგლისური ოჯახი, მის წევრთა უბრალო თავგადასავალი, ზნეჩვეულებანი, არაღრმა განცდები, შეხედულებანი.

„სახიფათო ასაკის“ გმირებს ხშირად მოელით საფრთხე ჩავარდნენ თანამედროვე ცნობილი ინგლისელი მწერლის და დრამატურგის პრისტლის პიესის „სახიფათო შემობრუნების“ პერსონაჟთა მდგომარეობაში. მოელით დაუნდობელი თანაბრად ურთიერთისაგან, მაგრამ პიერო ძალიან შორს სდგას პრისტლია სასტიკი სარკაზმისაგან. მას სრულიადაც არ სურს დასცინოს თავის გმირებს, ამხილოს მათი ცოდვები და შეცოდებანი. პიერო თავის გმირებს ეპყრობა მსუბუქი, გულკეთილი ირონიით. პიეროს დახასიათებით მათ არც კი აქვთ რაიმე არსებითი ნაკლი და ცოდვები. მათ მხოლოდ შემთხვევითი ფათერაკი და არა ხელსაყრელად დატრიალებული ვითარება აყენებს უხერხულ, არა სასიამოვნო მდგომარეობაში. მოსამართლე—მისტერ პოსკეტი—ეს ხომ კეთილი ადამიანი არ არის, ის ძალიან წესიერი და ღვთისმოსავი ჯენტლემენია და განა მისი ბრალია, თუ ყველაფერი მის წინააღმდეგ ისე საბედისწეროდ დატრიალდა, რომ შეიძლება მან დაკარგოს პატიოსანი კაცის სახელი და რეპუტაცია. მისი პატივცემული ცოლი აღათა პოსკეტი ჯირსული მანდილოსანია, განა მას დიდ ეკოდვად უნდა ჩაეთვალოს ის, რომ გათხოვების სურვილით შეპყრობილმა—დამალა თავისი ასაკი, მოიკლო რა მხოლოდ ხუთი წელი. ეს არის მხოლოდ მცირე ქალური სისუსტე, რომელიც ასე ახასიათებს ამ სქესის მრავალ და მრავალ წარმომადგენელს. სის ფერინგტონიც ცუდი ყმაწვილი როდია, არც ეს ყმაწვილია დამნაშავე იმაში, რომ დედამისი შალავს რა თავის ასაკს, მის ხნოვანებასაც ამცირებს ხუთი წლით: მაშინ, როცა დედა-მისი მას 14 წლის ბავშვად ასაღებს, ამ დროს იგი უკვე 19 წლისაა და ამყღავნებს ყველა მიდრეკილებასა და მისწრაფებას, რაც ამ ხნის ჭაბუკისათვის არის დამახასიათებელი.

ყველა ამ სათავგადასავლო ამბებსა და მდგომარეობაში ძალიან მცირე სოციალური სიღრმე და სიმახვილეა, მაგრამ ისინი შეიცავენ ნამდვილ გონებამახვილობას, დამაინტერესებელ გართობას, და სწორად მოიქცა გრიბოედოვის სახ. თეატრი (სპექტაკლის დამდგმელი საქ. დამსახურებული არტისტი ვ. ბრაგინი, მხატვარი — საქ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ირინა შტენბერგი), როცა არ დაამძიმა სპექტაკლი სოციალური მოტივების „გაღრმავებით“ და მიზნად დაისახა მხოლოდ მხიარული, მსუბუქი სპექტაკლის შექმნა.

სპექტაკლის ეს მსუბუქი და მახვილი კომედიური სტილი მოხერხებულად დაიჭირეს და განასახიერეს სპექტაკლის მონაწილეებმა, მეტადრე, ორი წამყვანი როლის შესრულებლებმა ბ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა და ვ. ბრაგინმა.

ნიჭიერი მსახიობი, ქალი ბ. ალექსი-მესხიშვილი ტაქტის დიდი გრძნობით და ნატიფი იუმორით ქმნის ბედისაგან ნაკლებად განებივრებული, საბრალო მისტერ პოსკეტის ცოლის—ეშმაკი, ჭირვეული, მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს თავდაბალი და პატიოსანი ქალის მკვეთრ სახეს. ბრაგინიც მსუბუქი ირონიით თამაშობს „ბედისაგან დაჩაგრულის“, ალალ-მართალი, კეთილი და მხიარული მისტერ პოსკეტის როლს.

ძალიან კარგია ვიაზემსკიც სასამართლოს მდივნის ბარმინქტონის როლში. „იძულებით გაბავშვებული“ სის ფერინგტონის უაღრესად თავისებური და რთული როლი უფრო მეტ შესაძლებლობას იტევს, ვიდრე ამ როლში გამოამჟღავნა ახალგაზრდა მსახიობმა ი. ალექსი—მესხიშვილმა.

რამდენიმედ დაარღვიეს სპექტაკლის საერთო სტილი ე. კოვალსკაიამ, რომელიც შ. პოსკეტის როლს ასრულებს, და აკოპოვმა, რომელიც პოლიციის ინსპექტორს ანსახიერებს; მათ უხეშად გააკარიკატურეს გასანსახიერებელი პერსონაჟები.

ფრიად მოსაწონია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება, რომელიც ი. შტენბერგს ეკუთვნის, განსაკუთრებით მკვეთრი და მკაფიოა პირველი სურათის დეკორაციები, რომელნიც მხატვარის დიდის გემოვნებით, დაკვირვებით და იუმორით გაუკეთებია.

ა. კოტანოვი.

საბჭოთა კინემატოგრაფია 1945 წელს

1945 წელი მნიშვნელოვანი წელი იქნება საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში, ამ წელს შეიქმნება ძველი რიგი მხატვრული კინოფილმები, რომლებშიაც უნდა აისახოს საბჭოთა ხალხის, როგორც თანამედროვე გმირული ცხოვრება, მისი მამაცური ბრძოლა გარეშე დამპყრობელთა წინააღმდეგ და დაუღალავი შრომა ზურგში ფრონტისათვის, ისე მისი გმირული წარსული.

წლევანდელი საწარმოო გეგმა ითვალისწინებს ორმოცდაერთ ფილმს. მათ შორის — ფილმები ომზე: „არმიის გენერალი“ (რეჟისორი ფ. ერმლერი), „დაუმორჩილებელნი“ (რეჟისორი მ. დონსკოი); ფილმები ზურგის გმირებზე: „ქარიშხალი“ (რეჟისორები გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერგი), „დიდი სიცოცხლის“ მეორე სერია (რეჟისორი ლ. ლუკოვი) ისტორიულ-რევოლუციური ფილმი „ფიცი“ (რეჟისორი მ. ჭიაურელი); „ივან გროზნის“ მეორე სერია (რეჟისორი ს. ეიზენშტეინი), „ადმირალი ნახიმოვი“ (რეჟისორი პუდოვკინი), „ციხე-ციხედინი“ (რეჟისორი ბ. ბარნეტი), „ვარსკვლავები“ (რეჟისორი გ. ალექსანდროვი), მუსიკალური ფილმი „გლინკა“ (რეჟისორი ლ. არნშტამი) და სხვ.

მიმდინარე წლის [illegible] ბა გამოსცემს [illegible] „ოთელ“ [illegible] საბჭოთა [illegible] საგამმ[illegible] ვახი ადგილი უჭირავს საბჭოთა კინოს 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურის გამოცემას. გამოვა კრებული „საბჭოთა კინემატოგრაფიის 25 წელი“ და „როგორ გავხდით კინორეჟისორები“. გამოვა აგრეთვე ალბომი, რომელშიც შევა ილუსტრაციები მხატვრული ფილმებიდან, კინოქრონიკებიდან და საბჭოთა კინოპლაკატებიდან.

განზრახულია გამოიცეს მონოგრაფიები პირიევის შემოქმედებაზე, აგრეთვე ფილმებზე: „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ და „დედა“. ამასთან გათვალისწინებულია კინოს ისტორიისა და კინოტექნიკისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემა.

„ჩემი შვილი“ ზესტაფონის თეატრში

ზესტაფონის თეატრმა თავის მაყურებელს უჩვენა გერგელისა და ლიტოვსკის სამმოქმედებიანი დრამა „ჩემი შვილი“.

პიესა დასდგა რეჟ. ს. ახალაძემ.

პიესაში დაპირისპირებულია ორი ერთი-მეორისადმი საწინააღმდეგო ხასიათი. ესენი არიან პალი ესტარაგი და კოვაჩი. პირველი პროფესიონალური რევოლუციონერია; უხგრეთის ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლი, ხოლო მეორე—ეგოისტი, კარიერის დაკარგვის შიშით შეპყრობილი.

სპექტაკლში შესანიშნავად არის მოფიქრებული მთელი რიგი მიზანსცენები, განსაკუთრებით ბოლო მოქმედების ფინალი—პალი ესტერაგის შეხვედრა დედასთან სახრჩობელაზე აყვანის წინ.

პალი ესტერაგის როლს დამაკმაყოფილებლად ასრულებს მსახიობი გ. თალაკვაძე. იგი იძლევა შეუფერებელი, რევოლუციის საქმისათვის უსაზღვრო სიყვარულითა და თავდადებით აღგზნებულ გმირის მიმზიდველ სახეს.

მსახიობმა კ. ცერცვაძემ გვიჩვენა მთელი შინაგანი სასაძაგლე პირადი კარიერით დაავადებული ადამიანისა. კარგად ასრულებს პალის დედის როლს მსახ. ფ. არაბიძე. მაყურებელი თბილად ხვდება მსახიობის წრფელ თამაშს.

დამაჯერებლად თამაშობენ მსახიობები: დ. კეკელიძე (ობერი), დ. ფოცხვერაშვილი (აფრა), გოგლიჩიძე (მწერალი), ვ. არაბიძე (კომერსანტი) და კ. ასათიანი (ანტრეპრენორი).

მოსაწონია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (მხატვარი ან. ფატმანიშვილი).

ზესტაფონის სახელმწიფო თეატრმა ამ სპექტაკლით უდავო წარმატებას მიაღწია. მოფიქრებულად განსახიერებულმა სპექტაკლმა სავსებით სამართლიანად დაიმსახურა მაყურებელთა მოწონება.

გრ. ფხაკაძე

ქრონიკა

„მნათობი“ № 11.

გამოვიდა „მნათობის“ №11. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავი, ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა; საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ი. გრიშაშვილი — ლექსი, ალ. აბაშელი — ი. გრიშაშვილს (ლექსი), ნ. ლორთქიფანიძე—ნოველები, ხარიტონ ვარდოშვილი — პოეტს (ლექსი), ვ. გაბესკირია — მართა (ლექსი), კლ. დევდარიანი — დაბრუნება (ნოველა), რევაზ მარგიანი — ფრონტელის დღიურიდან (ლექსები), ფ. დგებუაძე — ქალის გული (მოთხრობა), ჰონორე ბალზაკი — პოლკოვნიკი შაბერი (დასასრული. თარგმანი ირ. ქავკარაძისა), ი. ციციშვილი — პოეტის ბიბლიოთეკაში (ნარკვევი), ა. ჩხეიძე — კრილოვი ქართულ ლიტერატურაში. ჟურნალში წარმოდგენილია აგრეთვე შ. ძიძიგურის და დ. შამათავას რეცენზიები.

„კახაბერის ხმალი“ მარჯანიშვილის თეატრში.

იანვრის ბოლო რიცხვებში მარჯანიშვილის სახ. თეატრი მაყურებელს უჩვენებს თავის მორიგ პრემიერას — პ. კაკაბაძის კომედიას „კახაბერის ხმალს“.

პიესას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი გ. ჟურული. დეკორატიულად აფორმებს მ. ლებანიძე, მუსიკას სწერს ა. კერესელიძე. მთავარ როლებს ასრულებენ: ალ. იმიაძე (ნაცარმექელა), კ. ქვანტალიანი და გ. კოსტავა (ქოსტაფყუილა), გ. შავგულიძე და ალ. სიხარულიძე (მუსუსელა), შ. გომელაური და მ. სარაული (როსტომ-ბრძენი), თ. თეთრაძე და დ. შენგელია (გულანა), მ. ჯაფარიძე და ნ. კონტრიძე (ფატი), შ. მგელაძე (მეფე) დაალ. რამიშვილი (სოლომონ ხანი).

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრის მორიგი პრემიერა.

იანვრის შუარიცხვებში თბილისის მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრი მაყურებელს უჩვენებს ა. ნ. ოსტროვსკის კომედიას „შემოსავლიანი ადგილი“ (თარგმნილია ალ. მიქელაძის მიერ). პიესას სდგამს საქ. რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი ალ. თაყაიშვილი, დეკორატიულად აფორმებს ნ. კილასანიძე, მთავარ როლებს ასრულებენ: ნ. ხორავა (ვიშნევსკი), ალ. კაკაჯანშვილი და შ. საყვარელიძე (იუსოვი), ს. გამრეკელი და დ. ცხაკაია (ყადოვი), თ. თვალიაშვილი და თ. კეპეყმაძე (პოლინა), დ. ძნელაძე (იულინკა), ფ. ერგნელი და ნ. სირბილაძე (კუკუშკინა) ვ. მაჩაიძე (ბელოგუბოვი).

„ყვარყვარე თუთაბერი“ აფხაზეთის სახელმწიფო ქართულ თეატრში

3 იანვარს აფხაზეთის სახელმწიფო ქართულმა თეატრმა დასდგა პოლიკარპე კაკაბაძის ცნობილი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ საქ. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. ჭედია და მ. გაგნიძე, მსახიობები მ. თბილელი, მ. ჩუბინიძე, ტ. ხორავა, კ. ყურაშვილი, ნ. მიქაშავიძე, დ. თევზაძე, პ. თურქია, ა. რამიშვილი, ჟ. არუთინოვი, თ. მაჭარაშვილი, ლ. ყარალაშვილი და თ. ოქროპირიძე.

პიესა დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი გაბუნიამ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ნ. ყაზბეგს, მუსიკა კომპოზიტორ შ. გორგაძეს.

ლიტერატურული გამოფენა

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა სახელმწიფო მუზეუმმა პირველ იანვრიდან გახსნა ლიტერატურული გამოფენა, რომელიც ზოგადად ასახავს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას.

ექსპოზიციას საფუძვლად დაედვა მუზეუმში მანამდე არსებული ითონა მეენარგიას კაბინეტი, რომელსაც ორასამდე ახალი მასალა დაემატა. ექსპოზიცია ძირითადად „ცისკრის“, „დროების“, „ივერიის“ და „კვალის“ პერიოდების მიხედვით არის გამართული. აქ სპეციალური სტენდები აქვთ დათმობილი: იონა მეუნარგიას, ჭალადიდელს და დუტუ მეგრელს, როგორც ამ მხარეში დაბადებულ მწერლებს.

მუზეუმს განზრახული აქვს გამოფენაზე ამვალი სტენდები მიუძღვნას: გრიგოლ დანიკო დადიანებს და ცნობილ თანამედროვე მწერლებს, რომლებიც თავიანთი ბიოგრაფიით დაკავშირებული არიან სამეგრელოსთან. ექსპოზიციას კონსულტაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი.

ახალი პრემიერა სოხუმის რუსულ თეატრში

აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის რუსულმა დრამამ ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ცნობილი რუსი დრამატურგის — ოსტროვსკის კლასიკური კომედია „შემოსავლიანი ადგილი“.

პიესა დასდგა რეჟისორმა კარატაევმა, მხატვრულად გააფორმა მხატვარმა სიმონოვმა, მუსიკა დასწერა კომპოზიტორმა პოზდნეევმა.

პრემიერას დიდი წარმატება ხვდა.

ნორჩ მხატვართა სურათების გამოფენა

სოხუმის პიონერ-მოსწავლეთა კლუბში ნორჩ მხატვართა ერთმა ჯგუფმა მხატვარ ტაისა დროკინას ხელმძღვანელობით მოაწყო ბავშვთა მიერ ნახატი სურათების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ილუსტრაციები ვეფხვისტყაოსნიდან, ესკიზები. განსაკუთრებით ლამაზადაა გაფორმებული საბჭოთა კავშირის ჰიმნი, ყურადღებას იქცევენ ეტიუდები სამამულო ომის თემაზე.

ნორჩ მხატვართა შორის აღსანიშნავია ივანე საფინენსკის, ვალენტინა უტკინას, ილ. ეფიმოვის, კარაჩუნოვის, დრიეერუკოვის, შვედკინის და იულტინის სურათები.

მარიკა მიქელაძე — „ტანია“.

საბალიტგამმა გამოსცა პოეტი ქალის მარიკა მიქელაძის პოემა „ტანია“.

პოემის თემაა ცნობილი კომკავშირელი პარტიზანის ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირობა, რომელიც მან გამოიჩინა ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

წიგნი დასურათებულია მხატ. შ. ბერიტაშვილის მიერ.

საბჭოთა ავტორების წიგნები ესპანურ ენაზე

არგენტინის გამომცემლობა „ლაუტერო“ გამოსცა რუსულიდან ესპანურ ენაზე თარგმნილი „დიპლომატიის ისტორია“. მ. გორკი მოთხრობები — „ხალხში“ და „ჩემი უნივერსიტეტები“, ალექსანდრე ტოლსტოის „ჯერ“, ვ. იანის რომანი „ჩინგიზ-ხანი“, ს. ეიზენშტეინის „კინოს გრძნობა“ და საბჭოთა ავტორების სხვა წიგნები.

ოგაღახიღი

(დასასრული)

— ეგ როგორია!—გაიკვირვა ილამ,—აგერ ვვარ, აგერ სხვებიცა, ვინაც მაშინ ჩვენთან იყვნენ მატარებელში, ფიცს ვამბობ სიტყვასიტყვით ასე სთქვა: ციცინოსაც ვიცხობ, იმის ქალს ციცინოსაც, ყმაწვილებსაც და ნიკას ხომ რაღაო. მრავალჯერ ვყოფილვარ მათ ოჯახში, ღამეც ხშირად გამითევია, პურმარილიც მიმიღიაო, სწორედ ომის წინა თებერვალში ვიყავი მათ ოჯახშიო.

— მე ეგეთ კაცს ჩემს სახლში შემოსულს ვერ ვიცნობ. ან დარდმა გონება წამართო, აღარ მახსოვს და დავიღუპეი.

— აგრე დაბეჯითებით გველაპარაკა და დაგვაჯერა კიდევაც.

— მაინც, საიდან ვიცნობო თუ სთქვა?

— ნიკაიო, ზაფხულზედა ხარკამეჩს ჯვავახეთს ამორეკავდა ხოლმეო. ღამეს ჩემთან ითევდაო, მაიცა კიდევ რა სთქვა? ჰო, გახსოვს ციცინო თქვენეული უდელი ნიკორა კამეჩი რომ არის კოლმეურნეობის მუშა საქონელში?

— ჰოდე!

— ჰოდე და ის კამეჩებიც კი მიხსენა.

— მართლა აგრე სთქვა?—იკითხა ციცინომ და თავი ჩაჰკიდა, რაღაცას ისაზრებდა.

— აგრე ჩემმა მზემ, ჩემ ცოლშვილს გეფიცები. რა მრჯის ვიცრუო, ნიკაი ძმასავით მიყვარდა და მიმაჩნდა.

ციცინომ შინისკენ გასწია. დაღონებული შეუდგა ფლეშის შეღმართს, ათასი ფიქრისაგან გონება უბზუოდა. ძლივს გაიგონა ილას შორიდან მონაძახევი.

— ციცინოვუ! იმ ორშაბათის კვირაში გუთანი ნაცარგორის თავს მებმება ნაწვერლებში. მზად დაგვიხვდი, ჩამოგვალთ, საკარმიდამო სასიმინდეს მოგიგუთნავთ, ორი კაბდოს საქმეა. ეგ არის ტრაქტორისტის ვაზშამი დაგჭირდება და აქედანავე შეეცადეი!

— გშადლობ ილავ! გაიხარე, მეც ღმერთმა გადამახდევინოს კეთილი შენი მეზობლობაი,— გამოეხმაურა ციცინოც და პატარა ვაჟის ამარა მიმავალი გორაკს მოეფარა. ნაწვერალებში მწყრები ჭუკჭუკებდნენ, მაღლა მტრედის გუნდმა გადაიფრინა, ისმოდა ტრაქტორის შორეული ტაცა-ტაცუი.

— ჰა, ქურდი!?! ნაცარგორაში ქურდი ვის გაუგია?! ნიკორა კამეჩები? ციცინოს ნაცნობი, ნიკას მაყარი, ჯავახელი ქერიანინეი? ჰეი, მე კი სხვა რამ მგონია და... სწორედ ეგ შენი სიმამაყე მიყვარდა, ვაუკაცი რომ იყავ-ეგ კიდევ სხვა იყო. შენი ეგ სიმამაყე მიყვარდა ნიკავ და მეყვარება, მეყვარება...

— ვინა დედილო?—გაიგონა ციცინომ ხმა კაჟის, რომელიც მწყრების ჭუკჭუკს უგდებდა მხოლოდ ყურს და ძალზე გაუკვირდა თუ ვის ელაპარაკებოდა დედა, როცა მას არ უყურებდა და გარშემოც არავინ იყო. ციცინო ამით მიხვდა, რომ ხმამაღლა ლაპარაკობდა. სახეზე ჯვარი გადაისახა და მხსნელივით წაავლო შვილს ხელში ხელი, და უთხრა:

— შენა, შვილო, შენა.

* * *

წითელარმიელებმა სამოქალაქოდ გამოწყობილ მგზავრთა შორის, რომლებიც ლიკანში დაუსხდნენ მანქანას—ხერთვისს გაცილებულნი, შეამჩნიეს ეჭვის აღმძვრელი მოქალაქე. მოქალაქეს ფეხთ კოტა წაღები და წინდები ეცვა. ტანთ ქუთაითური შალის ხალათ-შალვარი და ჯუბა ემოსა. თავს წითელარმიელის ქუდი ეხურა, ყურისა და კბილის საფარველებ ჩამოშლილი. ზედმეტად ამობურცული, წინ გამოწეული მკერდი ჰქონდა. მგზავრი მოეფიდავეს წაადგა სხეულის აღნაგობით. ეჭვს ჰბადებდა მხოლოდ სახე. წარბების ნამგალი ყვრიმალებამდე უწევდა, ლელნარივით ადგა ხშირი წარბები და ლოყებსა და ნიკაპს, საულაშეს ნაადმართებლარი არ ანჩნდა. მგზავრი არავის ელაპარაკებოდა. თავისთვის, წყნარად ფიქრობში გართულს მტკვრის ხეობის ერთი მხრით ჰქონდა პირი ფიქცეული, მდინარესა და კლდეებს მისჩერებოდა.

ხევში ელექტრო-სადგური გამოჩნდა, კლდის წვერზე ქვეული ციხე-სიმაგრის ნანგრევები. „მოვედითო, ახალქალაქში“,—სთქვეს მგზავრებმა, ხიდის მისასვლელში ავტოგამსინჯავი პუნქტის გუშაგებმა შეაჩერეს, უცნაური მგზავრი ბოხჩით ხელში—გადმოვიდა. გეზი ქალაქის მოპირდაპირე მხრით აიღო, თითქოს ბეჯითად იცის ყაითაც მიდისო, გულის თქმას მიჰყვებოდა, ტანის აზრს მისდევდა. ალამოს მგზავრმა ერთ სოფელს მიაღწია. საყდარს გაუარა გვერდით, სოფლის ბოლოსკენ გაეშურა. ვერავის შეჰბედა ღამე გამათენებინეთო.

სოფლის გარეთ პურისა და ქერის ნამჯის და თივის ძირები იდგნენ გრძელ ყაზარმებივით. უცნობმა მყუდრო ადგილი ამოირჩია, ნამჯის გამოშლილ ძირში, გათხარა, რბილად ჩაწვა და ზემოდანაც იგივე გადაიხურა, ჩქარა გარშემო ყველაფერი მიწყნარდა, სოფელში დაიძინეს, მისწყდა ფეხის ხმა, საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა. მთვარიანი იყო ღამესავით. უცნობმა ბოხჩიდან ყველი, პური, ხორცის ნაჭრები ამოალაგა. დანაყრდა. მერე ოვალი გაუშტერა სავსე მთვარეს—ჯავახეთს, რომ დაჰქათქათებდა ცის მუქად ლურჯ ვარსკვლავებით თხლად დახვრეტილ ციდან. ჭმუნვამ შეიპყრო. გაახსენდა ყმაწვილობის წლები. მეზობლის პატარძალმა გიტარის დაკვრა და სიმღერები ასწავლა. ახლაც ახსოვს მოსაღვალავი. „ახ მთვარეო, მთვარეო, დამწვართ იმედო“. მაშინ მას ეს სიტყვები რაღაც სუფლურად ეჩვენებოდა, მაგრამ სამღერლად მოხერხებული და მშვენიერი იყვნენ. დიდხანს ეძება მოსათვალავში აზრი და ვერ აღმოაჩინა ჯერ დღემდე. აი თურმე რა ყოფილა მთვარე, მართლა დამწვართ იმედი და ოცნებათა წყარო, მთელი მოსათვალავი გაიხსენა, სიმების მაგივრად ნამჯის ღერებს თვლიდა თითებით. გაქრა, ჩაეძინა.

უცნო მგზავრი დილით ადრე წამოდგა ნამჯიდან, განთიადის ნისლში თვალი გააყოლა შარას. შორს, ძლიერ შორს, იმ შარის ბოლოში სოფელი მოსჩანდა, ფეხი გადადგა სოფლის მიმართულებით. შუა აგვისტო იდგა, თბილოდა ჯავახეთში, მსუბუქი ნიავი საამურად ელამუნებოდა. მინდვრად ხვნა იყო გაჩაღებული, გზის პირებში სალეწი მანქანები რახრახებდნენ, მეცხვარეები ფარებს შარისკენ მიერეკებოდნენ, გზებზე მტვრის კორიანტელი იდგა.

გზა გალია, სოფელს მიუახლოვდა. მცირედად შეისვენა თხრილის პირად. დაფიქრდა. სად მიდის? როგორ ეძებოს? დრო არ არის ვინმეს ჰკითხოს? ჰკითხავს პირველ შემოხვდურს აი, იმ პირველ ქოხში, მივა სოფლის განზე რომ სდგას და თხელი ბოლი ამოდის. გაიგებს რა ჰქვია სოფელს და შიგ ვინ ცხოვრობს.

ქოხის ეზოში მოზრდილი, ბომბორა ძაღლი გამოჩნდა. ქათმები დააფრთხო, შეჰყეფა ცას და ნავარდით გადმოეშვა ნაწვერალით შარისკენ. გზის პირად შეჩერდა. ისევ შეჰყეფა, მგზავრს მრისხანე თვალებით შეხედა, ჰაერი დაყნოსა და გზის იქით გადახტა, კარტოფილის ნათესს მიაშურა. იქ კვალში ჩაუცუცქდა და ქოხს მიაჩერდა.

ქოხიდან კაცი გამოვიდა. მანაც ნაწვერალი გადმოსჭრა, უცხოს თვალი ჰკიდა გზის პირად, გადაიარა შარა, კარტოფილის ნათესში ჩავიდა. ქოხიდან გამოსულმა კაცმა ბარი მოიმარჯვა, მუხლი კაპს დაჭირა, მიწას ურჭო. კარტოფილები სინათლეზე ამოცვივდა.

— შენ გეძებდი, მიგაგენი, მიგაგენი,— თქვა უცნობმა, ნაწვერალში გადაბიჯა. გეზი ქოხისაკენ აიღო, თამამად გაიარა ეზო და კართან აღმოჩნდა. კარტოფილის ნათესიდან გაავებული ყეფა მოისმა. ძაღლი მორბოდა, უცნობს შემოუტია. უცნობმა კარი შეაღო, შევიდა, მოჰკეტა, თვალი მიავლ-მოავლო მოწყობილობას. ორ დარსობილ პალოს გადაჭრილ ფიცარზე ქაშანურები, თიხის ფათერი და სურა ელაგა. ძირს საწოლად თივა ეყარა. ხოლო ერთად-ერთი ქვემსაგებ-სახურავი, წითელარმიული სრული ფარაჯა ყუთის თავზე იდო.

უცნობმა ფარაჯა გადმოაგდო, აიჩაღითით ახადა ყუთს თავი, ამოჰყარა იქიდან ტანსაცმელები, სინათლეზე გახედა და გულამოსკვნით ცრემლების ღვრით კვლავ გაიმეორა: გიპოვე, გიპოვე, განა არ ვიცნობ ჩემს სამწუ გულს, მე მას არ მოუტყუებივარ და ორ მომატყუებს.

ძაღლი კართან ჰყეფდა, ბრჭყალებით უფხაჭუნებდა ფიცარს, კაცის ხრიალი ხმაც მოისმა.

— ვინა ხარ მანდ, აზგამო ბასარა!

შიგნიდან არავინ ხმას არ სცემდა ქოხის პატრონს, ამიტომაც კარი ძალით შეაგლიჯა, შიგ შევიდა, უცნობის წინ გაჩერდა.

— ვინა ხარ და რა გინდა ჩემმანა? სად მიგაქვს ეგ ნივთები? დაჰყარე და აქედან დაიკარგე! განა არა მყოფნის, რაც ბაკლია და მომპარა მტერმა?!

— ნ